140
1969

ЗАМБЕЗА

10
1969

ფოტორეპორტაჟი
გ. სანაია

გეჯაკრეთის ხეიბჯაში

გუჯარეთისწყლის თავლაჯარმტაც ხეობაში, ზვერფილოსანის ბალაში წლევანდელ ზაფხულს მეთოთხმეტედ ჩატარდა ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მოგზაურ-მხარეთმცოდნეთა შეკრება. იგი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის. სათვის საპატივცემულოდ მიეძღვნა. შეკრების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი ცოდნა და ზამთრიდან, მოაწყვეს სხვადასხვა საბის კონკურსები, ეხსნეტრადიციულ სანადირო ბალი, შეხვედნენ ლაკოლ. მოგილ ადამიანებს... ნორჩმა მოგზაურ-მხარეთმცოდნეებმა ამ მეგობარულ ბანაკი ცოდნა მიიღეს და შინაარსიანადაც დაისვენეს.

შეკრებას ხელმძღვანელობდა შტაბი, რომლის უფროსი იყო საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ბავშვთა ცენტრალური ტურისტული სადგურის დირექტორი ბუნა ერისთავი.

● ნორჩ მოგზაურ- მხარეთმცოდნეებს მრავალი საინტერესო რამ უამბო თავის საბალოლო ბიოგრაფიიდან დიდი საბჭოთა ოჯის მონაწილემ, სამი დიდების ორდენის კავალერმა რუბენ მანაკოვმა.

● ბანაკის ბეჭედი მეგი ლაზარეთი და ცეცილია ზემბატის კოლმეურნეობა ბაჯარიანებელმა კარგად.

● შეკრების მონაწილენი განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ბუფეტებს.

● — კიდევ გვიამბეთ, პატივცემულო რევაზ, თქვენი ბრძოლებიზე! — სთხოვენ ბავშვები რ. მანაკო

ეროვნული ბიბლიოთეკა



დილის გამამხნევებელი ვარჯიში მთელი დღე მხნეობის საწინდარია.

რა ამინდია მოსალოდნელი ხვალ, ზეგ? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გულმოდგინედ მეცადინეობენ ნორჩი მეტეოროლოგები.

აბა, ვინ უფრო მარჯვედ, ვინ უფრო სწრაფად გაუფლის კარავს და აადუღებს წყალს!

ლაპი

ბორის დიაჩენკო თანამედროვე გერმანელი მწერალია. მეორე მსოფლიო ომის დროს წინააღმდეგობის მონაწილე იყო და იბრძოდა ფაშისტი ჰიტლერელების წინააღმდეგ. ამჟამად ბორის დიაჩენკო ბერლინში ცხოვრობს. იგი ცნობილია, როგორც „ყვითელი ჯვრის", „ფული და ფერფლის" და სხვა ნაწარმოებთა ავტორი.

ბორის დიაჩენკო

— რომელი საათია? ჩემი გაჩერებულა. — ლენინმა დახედა თავის ჯიბის საათს და ისევ უბეში შეინახა.

— ათი, ვლადიმერ ილიჩ, ორი წუთი უკლია ათს! — უპასუხა პოპოვმა. პუტილოვის ქარხნის კარებთან იდგნენ. მძღოლმა, რომელსაც ისინი უკან, სმოლნში უნდა წაეყვანა, მანქანის ძრავი აამუშავა.

— ათი? — კიდევ გვქონია დრო. მოდი ფეხით წავიდეთ!

დილას ადრე შეუდგა ლენინი მუშაობას, შემდეგ სხდომები დაიწყო. ეხლა კიდევ ეს კრება! დაიღალა. სხვებიც დაიღალნენ. მას თვალწინ წარმოუდგა მუშების გაფითრებული სახეები, რომლებიც მთელი დღე დაზგებთან იდგნენ და შემდეგ კიდევ ორი საათი ფეხზე მდგარნი მას უსმენდნენ. მძიმე ცხოვრება იყო. ქანცგამომცლელი მუშაობა... არ იყო პური, გათბობა, ტანსაცმელი, და არც ერთი ნაჭერი საპონი, რომ ძილის წინ ადამიანს ხელი დაებანა.

ასე იყო. ათ, თხუთმეტ წელიწადში სურათი შეიცვლებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს დრო ხახგრძლივი იქნებოდა. ზოგჯერ ლენინიც გაოცებული იყო, საიდან იკრებდა ხალხი ამდენ ძალას.

— დიახ, წავიდეთ ფეხით, — გაიმეორა მან. — საღამო მშვენიერია! მერწმუნეთ, შინ ერთი საათით დაგვიანებითაც რომ მივიდეთ, ერთი წლის სიცოცხლე მოგვემატება!

პოპოვი ცდილობდა გადაეთქმევინებინა ლენინისთვის.

— ხომ იცით, ვლადიმერ ილიჩ, ასე მარტო ქუჩაში... საღამოს...

— ვიცი, — მოკლედ მოუჭრა ლენინმა. — არ არის ეს გონივრული საქციელი, მაგრამ არ მიყვარს ადამიანი, რომელიც მხოლოდ გონებას ემორჩილება. წავიდეთ!

ქუჩები, რომლებითაც ისინი მიდიოდნენ, ჩაბნელებული და თითქმის უკაცრიელი იყო. ოთხი წელი მსოფლიო ომი, მერე სამი წელი სამოქალაქო ომი! გაზაფხული მხოლოდ იმით იგრძნობოდა, რომ მათ დროდადრო წყვილები ხვდებოდნენ გზაში. გაიგონეს როგორ ჩასჩურჩულა ერთმა ახალგაზრდამ თავის თანამგზავრ ქალიშვილს: „დაინახე ის კაცი? როგორ ჰგავდა ლენინს!“

უცებ ლენინი შეჩერდა, ერთ ადგილას რამდენიმე კაცს მოეყარა თავი და ხმამაღლა ყაყანებდნენ. შუაში ნაცრისფერფარაჯიანი წითელარმიელი ჩამდგარიყო და ხელი ჩაეჭიდა ბავშვისათვის, რომლის გამხდარ, გაფითრებულ სახეს სადარბაზოზე მიმაგრებული ლამპა ანათებდა. ბიჭი ძონძებში იყო გახვეული. ასეთი უპატრონო ბავშვებით სავსე იყო დიდი ქალაქები და შარაგზები. ბიჭი ტიროდა და ყვირიდა.

— ტყუის ეს ბურჟუა, ეს მსუქანი ღორი! მე სრულებითაც არ მინდოდა საათის მოპარვა. გამიშვი, ამხანაგო პროლეტარო, ჩვენ ხომ ერთი კლასის შვილები ვართ!

— რას ჰგავს ეს? საათზე მინდოდა დამეხედა, ამ სუბიექტმა კი ხელიდან გამომგლიჯა, ეს წარმოუდგენელი ამბავია! — ბრაზობდა კარგად ჩაცმული მამაკაცი.

— პოპოვ, წადი და მომიყვანე ის ბიჭუნა! მე მოედანზე დაგელოდები. — უთხრა ლენინმა.

ბიჭის გათავისუფლება პოპოვს არ გაძნელებია, მაგრამ ჩასჭიდა ხელი და წამოიყვანა. ამასობაში ლენინი მოედანზე მივიდა და ბაღის სკამზე ჩამოჯდა. როცა პოპოვმა ბიჭი მიუყვანა, ლენინმა ანიშნა: მარტო დაგვტოვეო.

— ნუ გეშინია ჩემი. მე რაღაცას გკითხავ და, მერე თუ გინდა გაიქეცი.

მე სრულებით არ მინდოდა საათის მოპარვა. მე მხოლოდ მინდოდა მენახა. — მცირე ხნის შემდეგ თქვა ბიჭუნამ.

— დაანებე თავი საათს!

— მე ხომ ცუდი არაფერი ჩამიდენია.

მხატვარი სპარტაკ ციცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ეპოდეკომ

ბავკი

რქაწითელი ზვარში ღუის,
იზაბელა ხეზე ტკბება;
საფერავი ღარში მზუის,
ციცქა თითებს ეწებება.
რთველი
ქვეყნის კარებს აღებს,
შემოდგომავ, სანატრელო,
შენგნით
ოქროს დიდ საწნახელს
ჰგავს
სამშობლო საქართველო.
ქართლ-კახეთს და
ლიხთ-იმერეთს
მწიფე ზვრები ღარში ჩქეფენ;
ვერ იქნა და ვერ მოირთვლეს,
მთელი თვეა, ყურძენს კრეფენ.
მწიფს ხელმწიფე ყველა ხილის,
ზეიმი აქვთ ზვარში კაცებს
და ბალღებიც შეძახილით
შესევიან ოქროს ვაზებს.
აქეთ ჭრიან აკიდოებს,
იქით ჭრიან ოქროს ჯაგნებს.
სამაჭრედ და საჩურჩხელედ
ჩახრიალას ბერტყენ კაკლებს.
ქვევრთან დგანან მოხუცები,
ბრიგადირი მაჭარს იქებს,
თვალს მოჭუტავს პაპა ღვთისო,
ამბოხს ბრძნულად აჭაშნიკებს.
ხარხარებენ, ყაყანებენ,
სვამენ, მაჭარს არ იკლებენ.
ხიხვი სხვაგან არ ხარობსო,
უნდა კიდევ ჩავყაროთო, —
თავმჯდომარეს არიგებენ.

— ვინ ამბობს, რომ შენ ცუდი რამ ჩაიდინე? მეც ასე ვიფიქრე, რომ შენ მართლაც არ აპირებდი საათის მოპარვას. გშია?

— კი, ძალიან!

— მაშინ წავიხემსოთ, მეც დილიდან არაფერი მიჭამია.

ლენინმა ჯიბიდან პურის რამდენიმე ნაჭერი ამოიღო და ორი ბიჭს გაუწოდა.

— რა გქვია?

— საშკა, — ლუკმით პირგამოტენილმა ჩაიბურტყუნა მან.

— რატომ დაეხეტები ასე?

— რატომ არ უნდა დავეხეტებოდე?

— არ გინდა ისწავლო?

— რატომ უნდა ვისწავლო?

— ბრიყვი ხარ, საშკა! რატომ უნდა, რატომ არ უნდა? — გამოაჯავრა ლენინმა. — ასე ლაპარაკობს მოზრდილი ადამიანი? შენ მფრინავიც კი შეგიძლია გახდე, ოღონდ თუ იბეჯითებ!

ბიჭი გაინაბა.

— მფრინავი? მატყუებ.

— რატომ უნდა მოგატყუო, რამეს გამოველი შენგან?

— არაფერს.

— აი, ხომ ხედავ. არ მქონია მიზეზი ტყუილის სათქმელად.

ეს იცოდა საშკამ, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— აბა, მაშინ ვინ გამხდის მფრინავად. შენ ხომ არა?

— მე არა. მე ამ საქმისა არაფერი არ გამეგება. შენ თვითონ შეგიძლია ისწავლო. სკოლაში იარო, პიონერი გახდე, შემდეგ კომკავშირში შეხვიდე.

— რა არის კომკავშირი?

— იქ გასწავლიან ყველაფერს. ზაფხულში ნავით ისეირნებ, ისწავლი გარმონის დაკვრას.

საშკა უკვე დაინტერესდა. — მართალია, რასაც მეუბნები? თუ მხოლოდ მპირდები?

ბიჭუნა ერთხანს გაჩუმდა, შემდეგ ისევ დაუმატა:

— ყველა იტყუება!

— ყველა? მართლა?

საშკა შეყოყმანდა და ცხვირი მოისრისა. — ალბათ შენ არა.

ერთ ხანს ასე საუბრობდნენ. მერე უფრო კარგად რომ დაეგდო ყური, საშკა სულ ახლოს მიუჩოჩდა. ბიჭს არ ეშინოდა, რომ უცნობი მას, რაკი ჩამოძონძილი იყო, ხელს ჰკრავდა. ბოლოს, ლენინი წამოდგა, აჩუქა ხუთი მანეთი, უთხრა სად უნდა წასულიყო, თუ მფრინავად გახდომა უნდოდა. საშკამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. უცნობმა გამომშვიდობებისას ხელიც კი გაუწოდა.

●

ეხლა კი ნამდვილად უნდა ვიჩქაროთ. ეს სხდომა მეტისმეტად გაგვიგრძელდა. ლენინი და პოპოვი სმოლნს მიუახლოვდნენ, ლენინმა თქვა: ნახავთ ის ბიჭი თუ არ მივა ივან სერგეევიჩთან!

პოპოვი სკეპტიკურად იყო განწყობილი.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ იმ ბიჭს რომ ნამდვილად საათის მოპარვა უნდოდა, უდავოა!

— უდავო არაფერია ამ ქვეყანაზე. პოპოვ! უფრო მეტი რწმენა უნდა გქონდეს ადამიანებისა მაშინაც კი, როცა ისინი სრულყოფილი ადამიანები არ არიან. ჩვენს საქმეს რწმენის გარეშე საერთოდ არ ექნება აზრი.

მათ გაიარეს ორი ქუჩა. ლენინი უეცრად შეჩერდა. სიბნელეში ვიღაც ყვირილით მოსდევდათ. ეს საშკა იყო. ქლოშინით მოირბინა, ძლივს მოითქვა სული და თქვა:

— საათი... მაშინვე მოვიპარე... მაგრამ შემდეგ მინდოდა...

— როგორ, მართლა მოიპარე? — გაცბუნებით იკითხა ლენინმა.

— იმას არა! — საშკამ ხელი გაუშვირა და რაღაც მრგვალი დაატრიალა. — ეს ხომ თქვენია!

მარტო საათი კი არა, მთელი ძეწკვიც „აეწაპნა“ საშკას ლენინისთვის ლაპარაკის დროს.

●

საშკა მფრინავი არ გამოსულა, მაგრამ კარგი მექანიკოსი კი დადგა.

გერმანულიდან თარგმნა
ბედია კოდუამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუხარი ცოცხალია!

შინ — ბუხარი ქოთნით
  და ჯაგნების ჯარი,
გარეთ — ჭრელი ფოთლით
  გაფოფრილი ქარი.
მთელი ღამე ოდის
  ჭრიალებდა კარი,
მთელი ღამე ქროდა
  ჭრელაჭრელა ქარი.

ქარ-ბორბალა ჩადგა
  და, როდესაც დილით
სოფლის თავზე დატკბა
  ზეცა მზით და ლილით,

ახმიანდა ოდა
  სიხარულის ხმებით,
გაჭრიალდა კარი —
  გამობრძანდნენ დები...

ლია ნიგოზს ეძებდა
  ძირს ჩამოყრილს ღამით,
მზიამ გული იჯერა
  ხეტეტურის ჭამით.

ხოლო დუმდა ლელა —
  უცნაური ბავშვი —
მუხლებამდე იდგა
  ჭრელი ფოთლის ტბაში.
ახედავდა სევდით
  გაშიშვლებულ ტოტებს,

კრეფდა ოქრო-ვერცხლის
  გასაოცარ ფოთლებს.

მუხლებამდე იდგა
  ჭრელი ფოთლის ზღვაში.
ვიგრძენ რაღაც მაღალი
  და ვთქვი ჩემთვის მაშინ:

— ჰოი, ჭრელო ფოთლებო,
  ვეფხის-ტყაოსნებო!
ჰოი, ჭრელო ფოთლებო,
  მართლა საოცრებო!
კურთხეული იყოს
  ჯერ ხომ თქვენი დასი,
მერე — ვინც იცოდეს
  ქვეყნად თქვენი ფასი!

• • •

იყო
  ვაზი მსხმოიარე,
    იყო
      ზვრები მდიდარი —
ახლა
  საქმე აღარ გვქონდა
    ზვარში არავითარი.
მაინც,
  გუშინ,
    პაპა ღვთისო
      ტკბილი სალამ-ქალამით
გადაგვიძღვა და ვახრჩოლეთ
  ზვარში მთელ დღეს წალამი.
ნეტავ სულ არ წავყოლოდით,
    ნეტავ სულ არ გვენახა,
რასაც ოდით
  ვაზად ვგრძნობდით,
    რასაც ვცნობდით ვენახად!
ჩვენ გვერჩია მსხმოიარე
    ვაზი ქვეყნად ყველა ხილს,
მაგრამ ახლა
  მგლოვიარე მოხუცს ჰგავდა ვენახი...
ვნახეთ
  ზვრები გაძარცული,
    ვნახეთ
      ვაზი მრუდე
და ვენახის ჩიტის
  უცბად
    ზედ პაწია ბუდე...
ვახრჩოლებდით
    ზვარში წამალს,
      კვამლი გვედინებოდა,
ცარიელა ბუდისაგან
    ლამის გვეტირებოდა,
ხოლო პაპა ღვთისავარმა,
    ვითომც აქ არაფერი,
გვითხრა წყნარად:
  — ჩვენი ზვრების
    შეხეთ, არ ჩანს ნაპირი!
მომწონს
  თქვენი ჩაფიქრება,
    მომწონს
      თქვენი ოცნება,
მაგრამ
  მოვა გაზაფხული,
    ზვარი
      შეიმოსება...
ეგ ვენახის ჩიტიც ცაში
    ჩვენკენ შეიტყორცნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოანჯე

დურმიშხან
გრიგოლაშვილი

მხატვარი
იური
ძლიგაძე

მოთხრობა

აპრილის მზე ჯერ არ ჩასულიყო, მაგრამ ნაავდრზე ქარმა იმძლავრა და აცივდა.

ხმაურს უმატა გულამღვრეულმა ალაზანმა.

ალაზნის პირას, შემაღლებულზე, კოლმეურნეობის საწყობი იდგა. საწყობზე მიშენებული პატარა ოთახის საკვამურიდან ფერმკრთალი კვამლი იწეწებოდა. კართან კუდბანჯგვლიანი ნაგაზი ჩაცუცქებულიყო და გულისგამწყალებლად წკმუტუნებდა. დროდადრო წამოხტებოდა, ჯაჭვს დაჭიმავდა და ატალახებულ ეზოში უთავბოლო ძუნძულს იწყებდა, მერე ისევ ჩაჯდებოდა, ცივგომბორზე დახრილ მზეს აცრემლებულ თვალებს მოუჭუტავდა, შეუღრენ-შეუყეფდა და გაბმით აყმუვლდებოდა.

დურმიშხან გრიგოლაშვილის მოთხრობამ „ბორანზე“ ჟურნალ „პიონერის“ კონკურსში მე-3-ე პრემია დაიმსახურა.

— რა გაყმუვლებს, შე ვერანავ! — დაიყვირა მოთმინებადაკარგულმა ბესაურამ, ღუმელში შეშა შეაგდო და ძაღლს გამოხედა, — რა სიკვდილის ბუზი დაგაჯდა, შე უჯიშოვ, რა გეცა! გვერდები ხომ არ აგქავდა, რა ვქნა!

კართან მიყუდებულ ჯოხს წამოავლო ხელი და მუქარით მოუღერა ვეება ნაგაზს, რომელიც მაშინვე გაჩუმდა და გაზუნზული კუდის ქიცინით პატრონს სველი, ამღვრეული თვალები მიაშტერა.

— ხომ არ გაცოფდა ეს უპატრონო! — ბესაურამ ჯოხი მიაგდო და ყურადღებით შეათვალიერა პირუტყვი, ქეჩო და დაჭრილი ყურები მოუსრისა, შავ ლაშებზე ალერსით მოუტყაპუნა ხელი. მურამ კუდის ქნევას უმატა, თათები მოუსვენრად აათამაშა და თვალებში ერთგული ძაღლის თბილი ალერსი ჩაუდგა.

— არა, ცოფიანი პატრონს ვერა სცნობს... ჰო, არც საჭმელს ეტანებაო გაცოფებული...

ოთახში შებრუნდა და ხელისგულისტოლა შოთის ნატეხი გადმოუგდო. ძაღლმა დასუნა და დინჯად დაუწყო ჭამა.

ბესაურას გულზე მოეშვა.

— მა რაღა ჭირი გეცა, ძაღლო! თუ არ შეგრცხვება, შემოდი და ბარემ „ფეჩქვეშ“ მოიკალათე კატასავით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლის ყმუილმა გუნება წაუხდინა ბესაურას, ქარიანში ისედაც ემღვრეოდა ხასიათი. ერთხანს ისევ კალათის წვნა განაგრძო. წნორის წნელები გამშრალიყო და ხელში ემტვრეოდა. გული ვერ დაუდო საქმეს, თბილი ქულაჯა გადაიცვა და კედლიდან თოფი ჩამოხსნა.

— გავიარ, სანამ ვასო ჩამოვა, გულს მაინც გადავაყოლებ. იქნებ წავაწყდე რამეს ჭალაში...

წინაზე კურდღელიც წამოუხტა, რუხი, თეთრმკერდა. რამხელა იყო! ნაპერწკალივით კი გაუქრა თვალსა და ხელს შუა, თოფის მომარჯვებაც ვერ მოასწრო. აი, კანჭა რომ ჰყოლოდა, მაშინ კი ვერსად გაექცეოდა. კანჭა მთელ სოფელში უბადლო მწევარია. ან კი რომელი ჰყოლია ბესაურას უხეირო!

თუმცა რა გამოდის, ბესაურას კი არაფერს არგებს კანჭა — კვირითკვირობამდე სოფლის მონადირეებს დაუდით. თვითონ კი უძაღლოდ ნადირობს ხოლმე ბერიკაცი. უძაღლო მონადირე რა მონადირეა!

— ეს იყოს უკანასკნელიო! — დაიქადნის ხოლმე თავის თავზე გაჯავრებული, მაგრამ მერე ყველაფერი თავიდან იწყება.

ახლაც გალმა ჰყავთ კანჭა წაყვანილი და, ხუთი დღეა, არაფერი იცის ძაღლისა.

„მოკლედ, ხათრი ხათაბალაა, ხომ არ შემოაკვდათ იმ ცინგლიანებს?! არადა, მა რა აყმუვლებს ამ უპატრონოს, თავის დღეში რომ ეგრე არ ატეხილა!..

ამის გაფიქრებამ შეშფოთების მაგიერ ოდნავ დაამშვიდა კიდეც.

— ჯანდაბას... ოღონდ უარესი არა იყოს რა! — ჩაილაპარაკა და კედლიდან პატრონტაში ჩამოხსნა, დატენილი ვაზნები ჩააწყო მჭიდეებში, წელზე შემოირტყა და საჩეხში გამოვიდა. ბესაურას დანახვაზე მურამ წეღანდებურად ააქიცინა ბომბორა კუდი და თავი დამნაშავესავით დახარა.

— მიკიოტის ჩაცილიღა გაკლია, შე ტიალო, შენა! რა გელანდება, რა გეცა!

„ოღონდაც უარესი არა იყოს რა!“ — ისევ გაუელვა და გული მძიმედ შეეკუმშა. კარი გადაკეტა და ნაწვიმარ ბალახში გააბიჯა.

„ის ვასო სადღაა აქამდე შუადღისას იცოდა ხოლმე ჩამოსვლა. იქნებ აღარც აპირებს ყარაულობას... მაგრამ ვისი იმედით უნდა იჯდეს შინ, ერთი ბიჭი ჰყავს და ისიც — მტრად გადაკიდებული. ფუი, ერთი ის არის კიდევ საქონელი!..

ლორთქო ბალახში უხვად გაბნეულიყო ციგგომბორის მზეზე მოციმციმე ბროლის მძივები, წვიმის ნიალვარებს ნიადაგში უკვე ჩაევლოთ, პატარ-პატარა ნაკადულები წელში წყდებოდნენ და ალაზანში იწრიტებოდნენ. მინდვრის ფერადი ყვავილები ვიწრო ბილიკზე გადმოხრილიყვნენ და ჩექმის ყელებს უკოცნიდნენ ბესაურას.

კუნლისა და ჯაგის კვირტდამსკდარი, ოდნავ შეფოთლილი ტოტები შარვალზე ებღაუჭებოდნენ. აყვავებული ტყემლისა და პანტის, ბიისა და მაჟალოს სურნელი იბნეოდა ქარიანში, ბუჩქებიდან გუნდ-გუნდად ფრთხებოდნენ ბეღურები და ერთი ჟივილ-ხივილით აქეთ-იქით იფანტებოდნენ.

მუხლებსა და წელში ისევ გაუჯდა რაღაც სატკივარი და ისედაც წამხდარი ხასიათი უფრო წაუხდინა.

„აღრეც გავციებულვარ, მაგრამ წელ-მუხლის ტკივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რას ერქვა!.. თავს არ ვუტყდები, თორემ...“ — გაიფიქრა და შეევერცხლილ თავზე ნაბდის ქუდი შეისწორა.

ალაზნის პირას, ბორანმისადგომზე გაჩერდა, აბორგებულ მდინარეს გახედა.

გაღმა ნაპირზე ბებერი ვერხვისათვის წყალს ძირი გამოელო. ვერხვი მდინარეში ჩაქცეულიყო და დამწყდარი თეთრი ფესვები ულონოდ აეშვირა ჰაერში. ნაყუმბარევს ჰგავდა წყალში ჩაწოლილი ნაპირი. ტალღები ყირა-ყირა გადადიოდნენ ხის ფათალომოდებულ ტოტებში და ცდილობდნენ მთლიანად მოეწყვიტათ დედამიწისაგან, რომელსაც ვერხვი მაგრად ჩაჰფრენოდა ძლიერი ფესვით. ბესაურას კაცივით შეებრალა ბებერი ვერხვი.

„ტრაქტორი მაინც გამოჩნდებოდეს სადმე, ამოვათრევდით. აფსუსია, წყალმა წაიღოს“...

რკინის პალოზე ჯაჭვით მიბმული ბორანი ზანტად ქანაობდა. მღვრიე ტალღები გააფთრებით აწყდებოდნენ ბორანს და ქაფადქცეულნი მდინარის ზვირთებში იკარგებოდნენ. ალაზნის გაბმულ ღმუილს დროდადრო მაჯისსიმსხო ბაგირზე აგორებული გორგოლაჭის ღრჭიალი, ჯაჭვის ყღარუნი და მურას გულისწამღები ყმუილი ერთვოდა.

გაღმა, ტყეში, უხალისოდ იძახდა გუგული.

ჯიბიდან გაზეთის ქაღალდი ამოიღო, კუთხე ჩამოხია და სიგარასავით მსხვილი პაპიროსი გაახვია, ძლივს მოუკიდა ქარიანში.

„ეჰ, ეტყობა, ვასო აღარ ჩამოვა დღეს. ალბათ მართლა შაბათია. ხვალ შემცვლის, შუადღისას. ჰო, დღეს შაბათი იქნება“.

ცივგომბორის კალთებზე შეფენილ სოფელს გახედა, ძიძაანთუბანში, სკოლის თეთრი შენობის ზემოთ, ორსართულიანი ქვითკირის შენობა მოძღვნა და შეკრული წარბი ღიმილმა გაუშალა.

„ნეტა რა ქნა გოგიამ, ბოდბისხევში უნდა წასულიყო ხორბლის საყიდლად... თუმცა, ჰო, დღეს შაბათია! ყვირაც რომ იყოს, რას წავიდოდა იმ თავსხმაში... ეჰ, მინ მაინც მქნა ახლა“.

ღუმელს მიუჯდება, გაცივებულ ფეხებს ცხელ წყალში ჩააწყობს და კარგა ხანს ინებივრებს ასე. მერე, სანამ რძალი ვახშამს გაამზადებს, შვილიშვილებთან თამაშით გაერთობა. ვახშმობისას გოგია ისევ შეაპარებს: — მოეშვი, მამი, იმ საწყობსა და ბორანს, როგორ არ მოგწყინდა ის მინდორი და ალაზანიო.

„ჰმ, მიფრთხილდება! დავბერდი და მიფრთხილდება! ჰე-ჰე, სოფლისა მრცხვენიაო, ელაპარაკე! აქედანაც კარგად ჩანს შენი ალაზანი, აქედან უყურეო!.. ეჰ, რა უნდა უთხრა კაცმა“...

ბორანზე შედგა, ნავებიდან ნაწვიმარი წყალი ამოხაპა, ნიჩაბს ბოლო მოუნაცვლა და, ის იყო, ბორანი უნდა აეშვა, რომ ქვემოთ მომავალი, ბრეზენტით ძარაგადახურული „ზილი“ შენიშნა.

— ღმერთსა მადლი, როგორც იქნა! — ჩაილაპარაკა და ისევ ნაპირზე გადმოვიდა. მანქანა ნელა ახლოვდებოდა.

„კიდევ კარგი, მოხრეშეს ეს გზა, თორემ ნაავდრზე ძლივს გაივლიდა კაცი! ძაან ივარგა ახალმა თავმჯდომარემ, იმ გადამთიელს კი მარტო ჭამა-ულაპვაზე ეჭირა თვალი!“

ძარაგადახურული „ზილი“ აკაციის ტყეს გამოსცდა და ჯეჯილის მოლურჯო ფონზე გიგანტურ კუსავით მოხოხავდა. ძარა წინიდან ახდილი იყო და ცარიელი ჩანდა. კაბინაში მხოლოდ შოფერი იჯდა.

— არა, არა, დღეს ნამდვილად შაბათია, ხვალ ჩამოვა! — გადაწყვიტა ბესაურამ.

შოფერი მაშინვე იცნო: გუნებაანთ ბიჭი იყო, ვაჟა.

საწყობთან მანქანას გააფთრებული ყეფით შეეგება მურა.

— ბესო პაპას გაუმარჯოს! ალაზნის კაპიტანს ვახლავარ!

ვაჟამ კაბინიდან ხელი გამოყო და შავი ულვაშებიდან თეთრი კბილები გამოფინა, მანქანა ბესაურას წინ შეაყენა და მკვირცხლად ისკუპა კაბინიდან.

— Здравия желаем, товарищ капитан! —

— მხედრულად გამოიჭიმა, ფეხი ფეხს მიარტყა და მარჯვენა ხელის ცერშეკეცილი მტევანი ვარსკვლავიან ქუდთან მიიტანა.

— შაოს გაუმარჯოს, შაოს! თავისუფლად! — იხუმრა ბერიკაცმაც და ვაჟას გამოწვდილი ხელი მაგრად შეარხია.

— რაო, ბესაურავ, შენი კრეისერი ხომ მწყობრშია!

— არ უნდა ლაპარაკი!

— მაშ, წავსულვართ „დალნი პლავანიაში!“

ვაჟა შემოდგომაზე დაბრუნდა ჯარიდან, მეზღვაურობით თავი მოჰქონდა და, თუ შემთხვევა მიეცემოდა, უხვად აფრქვევდა საზღვაო ტერმინებს.

— საით გაგიწევია, შაო!

— იჰ, საით რა, არხანგელსკში ხომ არ გამგზავნიდა ჩვენი „ხაზეინი“! კატის მანძილი საბძელია.

— შე მაიმუნო, არ გეყო ი ალხანკეში, ოთხი წელი გაგიტარებია! — მართლა, საით?..

— გაღმა მივდივარ, საგრელში, ხარებას ბრიგადა უნდა გამოვიყვანო, თესვა გაწვიმებამდე დაუმთავრებიათ და...

— კაი მანძილია საგრელამდე.

— თუ გადარჩნენ მაინც იმ წარღვნა-ყიამეთში?! — იხუმრა ვაჟამ.

— აბა, კაცო, რა იყო, რა თავი მოიქექა! — მოხუცმა მოკრიალებული ცა შეათვალიერა. — თავად გაციებული ვიყავი და ე წელ-მუხლი, მოკლედ, ჩემი აღარ არის, ძლივს ვიხრები, თითქოს სარზე ვარ გაკრულიო.

— წელი მეც მიშეშდება ხოლმე, პაპავ, ეგ არაფერია, გაივლის!

— ეგ კი არა, ბალღო, გადამირია წვიმამ ცხვარივით ალაზანი. ნახე ერთი, რა დღეშია!

— აუ, ალაზნის გადარევა კი აღარ მინახავს! — ვაჟამ ალაზანს ისე გადახედა, თითქოს ეხლაღა დაინახაო. — ერიჰაა, მართლა გაცხარებულა, პაპავ, ეს შენი ცხვარი. ოჰოჰო, ნამდვილი შტორმია. რა „პრიბოი“ აქვს უყურე ერთი, შევარცხვინე შავი ზღვა! შენი კრეისერი კი დგას არხეინად!..

— რაც კაპიტანია, ის კრეისელი! სულ ჩვენს მასხრად გდებაში უნდა იყო, შე მაიმუნო?

ორივემ გაიცინა. ვაჟამ ჯიბიდან „პრიმის“ წითელი კოლოფი ამოიღო, ძირზე წკიპურტი ამოჰკრა და სიგარეტებს თავი ამოაყოფინა.

— მოწიე, ბესო პაპავ!

— მე ამის მეტს არაფერს ვეწევი! — ბესაურამ დინჯად დაიწყო პაპიროსის გახვევა. ვაჟამ ქარს ზურგი შეაქცია და მოძაბრულ ხელებში პაპიროსს მოუკიდა. მერე მანქანას კაპოტი ახადა და ღრმად ჩაეყუდა.

— ის კი არა, ბალღო, ჩვენებისა ხომ არა იცი რა? — ცოტა ხნის შემდეგ სხვისი ხმით იკითხა მოხუცმა და პასუხის მოლოდინში გაირინდა.

— მკითხე რამე, პაპავ? — ვაჟამ კაპოტი დაუშვა და თვლის მიჭეჭყილ ფარზე ჩამოჯდა.

— სოფელში ხომ მშვიდობაა-მეთქი...

— ეჰ, რაღა მშვიდობაა, შვილი მამას აღარ ინდობს და!..

— მოხდა რამე, ბალღო?!

— მოხდა, მაშ არ მოხდა?! შენი ძმაკაცია ძალიან ავად...

— ვიზე მეუბნები?..

— ვასოზე!..

ბესაურამ პირისკენ წაღებული პაპიროსიანი ხელი დაბლა დაუშვა.

— რა მოუვიდა... განა არა, კაცო, ველოდები, დღეს უნდა... დღეს კვირა არ არის?

— მა რა არი!

—ჰოდა! დღეს უნდა ჩამოსულიყო, იმისი ჯერია. მიკვირდა, რა იქნა-მეთქი... კუჭის შეტევა ექნება, იტკიებს ხოლმე...

— კუჭი გაუხმეს იმის ბედოვლათ ეფრემას! ფუი, ის ხომ კაცი არ არის! ბაჯაღლო ნაგავია! კუჭი კი არა, კაცი აღარ არის სათქმელი, წნევას დაურტყამს და დევს ეგრე გაცოდვილებული, საწყალი...

— ოჰ, ეგ რა მითხარი, ბალღო! მერე ეფრემა?..

— ეფრემა!.. პატრონობს, პროფესორები დაახვია! იიი, ფუი! კაცი სულზე იდო შინ, უპატრონოდ, თვითონ კი, შეაბა თურმე ცხენი, მოისვა თავისი გამხმარი კნეინა და გაღმა წავიდა, ცოლისძმებთან!..

ვაჟა გაჯავრებით იქნევდა ხელებს, თითებში გაჩრილი სიგარეტი ქარში ჰფანტავდა ნაპერწკლებს.

ბესაურასაც დავიწყებოდა პაპიროსი და წარბშეკრული მისშტერებოდა მოამბეს.

— მაშ რატომ არ მინახავს, თუ გაღმა გავიდა! — გამოსცრა მოხუცმა.

— რა პირით ჩამოივლიდა აქეთ, ქვემოთა ბორანზე მოუვლიდა...

— როდის მოხდა, კაცო, ეგა?..

— გაწვიმებამდე, მგონი, პარასკევს... ვასო პაპა თურმე სახლწინ ბაღჩასა ბარავდა საწყალი. ის ნაგავი მთვრალი გდებულა, გამოსულა და აუბამს შარი: ეს ერთი მტკაველი ჩემიაო, რა უფლებით ბარავო... აუბა, დაუბა თურმე და, როგორც გადამთიელი ვინმე, ეგრე ლანძღა. კახელამა თქვა, თავის ადგილს ბარავდა კაცი, ტყუილად აუშარდაო! საწყალს ერთი-ორი სიტყვა შეუბრუნებია, იმას კიდევ უკრავს ხელი და ნაბრის პირში ჩაუგდია... ვასოს გული წასვლია და, გონს რომ მოეყვანათ, აღარც ენა ემორჩილებოდა თურმე და აღარც ხელ-ფეხი. დევს ეგრე გაცოდვილებული, მარჯვენა მხარი დადამბლავებული აქვს, ენასაც ძლივს აგებს. რაღაცას მაბარებდა შენთან, ვერაფერი გავუგე, აზრი ვერ გამოვიტანე...

ვაჟა გაჩუმდა და პაპიროსი მოქაჩა. ბესაურაც დუმდა, ერთ ხანს მივიწყებული პაპიროსის გაღვივება სცადა, მერე ნერვიულად ისროლა ბალახებში.

— ოჰ, ამ ძაღლმა პირდაპირ წაიღო ტვინი! — თქვა ვაჟამ.

„აი, თურმე ვისა ტირის ეგრე გამწარებით!“ — გაიფიქრა ბესაურამ და თვალში მორეული ცრემლი რომ „ბალღისთვის“ დაემალა, უსიტყვოდ შებრუნდა ბორნისაკენ და ბუზღუნით წავიდა.

— მაიტა, მაიტა, გაამზადე, თორემ ლაპარაკი ლაპარაკსაო... შებინდებამდე ვერ გავალ. — დაადევნა ვაჟამ, კაბინაში შეძვრა და ძრავა ააგუგუნა. ბესაურამ ხელით ანიშნა — მოდიო. მანქანა ნელა დაიძრა ბორნისაკენ. მურა ისევ გამოცოცხლდა და გაბმით აყეფდა.

— ისე, ექიმი იმედებს იძლევაო, ბესო პაპავ,— უთხრა ვაჟამ, როცა მანქანა ბორანზე შეაყენა.

— ვინ მოუყვანა საცოდავს ექიმი? — იკითხა მოხუცმა და ბორანი აუშვა.

— „ხაზეინი“ ხო მეზობელია ვასოსი, ადრეც ძაან პატივსა სცემდა!..

— ნეტა ეფრემა სცემდეს იმის მეასედ პატივს...

ბორანი ნელა დაიძრა.

— Полный вперед! — დაიძახა ვაჟამ. მოხუცს არც მოუხედავს, ნიჩბის ტარს ცალი მხრით დაყრდნობოდა და თვალგაშტერებით ჩასცქეროდა ტალღებს.

„აი, თურმე ვისა ტიროდა მურა ეგრე გამწარებული!“

„ვერ არის კაპიტანი ხუმრობის გუნებაზე...“

მდინარის მღვრიე ზვირთებში ძარაგადახურული მანქანის მოძრავი ჩრდილი გაწოლილიყო. ნავების კიჩოებთან აქაფებულ ტალღებს შხუილი გაჰქონდათ.

ნელა ირწეოდა მაჯისსიმსხო ბაგირი, რომელზედაც ღუჩრიალით მიგორავდა დიდი გორგოლაჭი. დროდადრო უძრავ ბლოკზე დაჭიმული და ნავების კიჩოებზე მიბმული ჯაჭვის ჟღარუნიც ისმოდა. შორიახლოს მზის უწესრიგოდ დატეხილი დისკო მიცურავდა; შორს, კავკასიონზე, გაზაფხული ალპურ ზონას უტევდა; თოვლის ხაზი ზანტად იხევდა უკან, მწვერვალებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭალაში რამდენჯერმე იგრიალა ბესაურას თოფმა.

ახლა ის ჩალამოდებულ ბუჩქნარში ჩაკარგულ ბილიკს მიჰყვებოდა. ხელბარაქიანად ბრუნდებოდა ნადირობიდან. ტყე თანდათან გახშირდა და საღამოს მგლისფერი დაედო.

ასწლოვან ხეებში ქარს ძალა დაჰკარგოდა, მხოლოდ მაღლიდან დასტრიალებდა თავგამეტებით. ყრუდ შრიალებდა მუხა თუ ვერხვი, რცხილა თუ იფანი. რაღაცას მღეროდა ტყე.

ბესაურამდე ჯერ არ აღწევდა ალაზნის ხმაური. აქ მხოლოდ ტყე შრიალებდა.

„ყველა ხე თავისით უნდა კვდებოდეს, მხოლოდ ხმელ ხეს უნდა ჭრიდეს კაცი“, — გაახსენდა ვასოს ნათქვამი.

— საწყალი, როგორ უყვარდა ფილაფოზობა! — ჩაილაპარაკა.

ზურგზე თავდაყირა ეკიდა ნაცრისფერი კურდღელი, თეთრი მკერდი წითლად შეღებოდა, უღონოდ ქანაობდა ლამაზი ნადირის პატარა თავი.

„მონადირეა ყველაზე უგულო კაცი დუნიაზეო“ — ამასაც ხშირად იტყოდა ვასო, თუმცა თვითონაც ძალიან უყვარდა ნადირობა.

ეფრემა დაუდგა მოხუცს თვალდათვალ, ქერა, ცხვირკეხიანი. ჭროღა, წვრილი თვალებით შემოხედა და ცალყბად გაუცინა. არ უყვარდა ეფრემა. ბავშვობიდანვე არ უყვარდა. წარაფებში ბესაურას და ვასოს ვენახებს ერთი მიჯნა ჰყოფდა; ეფრემამ ბავშვობიდანვე გაიმრუდა ხელი და მიჯნას არა სცნობდა. მასზე არც ტუქსვა მოქმედებდა და არც დარიგება. წამოიზარდა და ჭიღიტას ყურძნის ქურდობისათვის სამი წელი იჯდა... დაცოლშვილდა და ვასოს დაუწყო გამწარება, დაიბრიყვა მოხუცი, აღარ მოასვენა...

— ოხ, რომ შემხვდება... რომ შემხვდება!..

არ კი იცოდა, რას ეტყოდა შეხვედრისას, როგორ ეტყოდა.

ბილიკმა საურმეზე გამოიყვანა. მუხლები უბჟუოდა და წელში სტეხდა. პაპიროსს მოუკიდა და კვამლში გაეხვია.

ერთბაშად თვალში ეცა ურმის ნაკვალევი, ცხენის ნაფლოქვარებიც აშკარად მოჩანდა ფეხდაუდგამ ნაწვიმარზე.

— ვიღაცას აუვლია ტაჭკით... — ბერიკაცმა ფეხს აუჩქარა.

თანდათან ახლოვდებოდა ალაზნის ხმაური.

— ბორანი თუ გაღმა დამხვდა, მაშინ ნახე სეირი... ეგრე შორს არ უნდა წავსულიყავი.

ტყიდან გამოსულს იდუმალი ბუზღუნით შეეგება შფოთმორეული ალაზანი.

ქარმა მკვახედ შემოჰკრა სახეში და თვალები აუწვა.

გაღმა, საწყობის ეზოში, მოუსვენრად წრიალებდა მურა და გამოღმა გაანჩხლებით უყეფდა რაღაცას.

ბორანმისადგომთან ცხენგამოშვებული, მორებით დატვირთული ორთვალა დაინახა. მოშორებით, ტყის პირას, კაზმმოუხდელ ცხენს ვეებერთელა პალტოში გახვეული ბიჭი აძოვებდა.

მოხუცმა ხმამაღლა ჩაახველა. ბიჭს არ მოუხედავს.

— რომელი ხარ, ბალღო! — გასძახა ბესაურამ.

ალბათ შეკრთა მოულოდნელობისაგან, ბიჭი სხარტად მოტრიალდა.

— შენ მებორნე ხარ? — იკითხა ბავშვის წკრიალა ხმამ.

— გამოიცანი!

— ჰოდა. შენ გელოდებით! — თითქოს ნიშნის მოგებით მოუჭრა ბიჭმა, გაჯავრებით მოქაჩა აღვირი და ცხენი ძლივს მოსწყვიტა ქორფა ბალახს. მერე წინ გამოუძღვა და მხართოფიან მებორნეს მოაშურა.

„მარტო არ უნდა იყოს, მთლად ღლაპი ჩანს“...—გაიფიქრა ბესაურამ.

— რომლისა ხარ, ბალღო?! — შეაგება მოახლოვებულს.

— ვერ მიცნობ, გაღმაური ვარ! — თითქოს ამით თავი მოაქვსო, ისე თქვა ბიჭმა.

— ბიჭოს! იმერელი ყოფილხარ! მაინც, მაინც, იქნება გიცნო, შე კაი კაცო! — გაეცინა ბესაურას, მაგრამ უეცრად ცხენი იცნო და ღიმილი პირზე შეაცივდა.

— ეგ ცხენი ეფრემასი არ არის?

— გამოიცანი! — ახლა ბიჭმა გაიცინა, რაკი მოხუცს წეღანდელი პასუხი გამოაჯავრა, მერე ქარის მხრიდან პირზე ხელი მოიფარა და წკრიალა ხმით დაიძახა: — ეფრემა ძიავ... ჰაი, ძიავ!..

— მოვდივარ! — მოისმა ტყიდან.

ბერიკაცი უსიამოვნოდ შეიშმუშნა ამ ხმაზე, თითქოს ტყიდან მგლის ყმუილი გაეგონოს.

— მებორნე მოვიდა. გამოდი! — გასძახა ბიჭმა და ბესაურას მიუბრუნდა: — მე ეფრემას ცოლისძმა ვარ... ვენერა ჩემი და არი.

— რას მელაპარაკები! — ვითომდა გაოცდა მოხუცი. მერე ირონიულად დაატანა: — კარგი და გყოლია! — ბიჭს გამოეპარა მოხუცის ირონია, შეიფერა:

— კარგი და მყავს!

— სიძე მთლად უკეთესი! — ახლა კი გასცა თავი ბესაურამ. ბიჭმა ეჭვი შეიტანა.

— რაო, არა თუ?!

— მე როდი ვთქვი არა-მეთქი! ძაან ყოჩაღი ბიჭია!

— ჰო, ყოჩაღია.

— ძალიან გიყვარს სიძე?

— ძალიან!

— წილი არავის ჩაუდო!

მოხუცმა უცებ ტყიდან გამოსულ ეფრემას მოჰკრა თვალი, ბიჭს ზურგი შეაქცია და ბორანს მიაშურა.

— საიდან გამოტყვრა... ვინა თქვა იმ დალოცვილმა, „ძაღლი ხსენებაზეო!“ — ბუტბუტებდა მოხუცი.

ეფრემას ცალ ხელში წალდი ეჭირა, მეორე ხელით კი წნელის მსხვილი კონა ამოეღლიავებინა. გრძელი, ჯარისკაცური მაზარის კალთები ქამარში აეკეცა, მთლად სველი ჩანდა ბარდებში ძრომისაგან.

— სადა ხარ, ბესაურავ, დაკარგული, პოსტის ეგრე მიტოვება იქნება?! — შორიდანვე დაიწყო ეფრემამ, — თუმცა, ერთმხრივ კარგია, რომ დაიგვიანე, — წნელი მომაჭრევინე.

მოხუცმა ყური მოიყრუა, ძალიან ეზარებოდა ამ კაცთან ლაპარაკი. რაღაც მკვახე მოადგა ენაზე და დააპირა ერთბაშად გადასულიყო შეტევაზე, მაგრამ თავი შეიკავა. გადაიფიქრა: „ვითომც არაფერი ვიცი... მერეც მოვასწრებ“.

ეფრემამ წნელის კონა ორთვალაზე შეაგდო.

— გამარჯობა, ბესაურ!

მოხუცმა პასუხი დაუგვიანა.

— გაგიმარჯოს!.. — არც მოუხედავს, წყალს გადაუგდო.

— კაი კურდღელი წაგიქცევია!.. მოიყვა, ჯო, შევაბათ, გვიანდება!

— დიდი ხანი იცადეთ?

— წნელი მაინც უნდა მომეჭრა და!.. კაი დროს მოხვედი!

— შორს გამიტყუა ნადირობამ, მგზავრსაც არ ველოდი...

ბიჭმა ცხენი ორთვალასთან მოაყენა.

— მანქანით ვინ იყო? — იკითხა ეფრემამ და ცხენს უკან დაახევინა, უბეებს შორის.

— შაომ ჩამოიარა, საგრელში მივდივარო. — თქვა მოხუცმა.

ეფრემა შეცბა, გამომცდელად გამოხედა ბერიკაცს, თვალებით ჰკითხა: — მაშ ყველაფერი გეცოდინებაო. ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— დიდ მუხასთან ავცდებოდით... რა ესაგრელებოდა!

— შენ რა გეგაღმავებოდა?! — ბერიკაცს თავს აბეზრებდა ამ კაცის ყოველი შეკითხვა.

— მე? მე უფროსი ცოლიძმა დავაქორწინე და ხო იცი, ძლივს გამოვეშვიკე... ჩემი სიმამრის ხელში რო კაცი ჩავარდება...

„იმიტომაც ჭიკჭიკებს... კაცი მოიდნო და თითონ ქორწილაობს!“

— მოვაყენო? — იკითხა ეფრემამ. ორთვალაში შებმული ცხენი მოუსვენრად იქნევდა თავს.

— მოიყვა, ჰო... ფრთხობა ხომ არ იცის ბორანზე?

— რას ამბობ! — ეფრემამ შეურაცხყოფილივით გაშალა ხელები, ცხენს შეუძახა და ბორანზე შეაყენა.

პალტოში გახვეულ ბიჭს ქარისთვის ზურგი შეექცია და ორთვალას ეფარებოდა.

— ეს ვერანა, ქარი მაინც ჩამდგარიყო! — თქვა ეფრემამ.

— დილამდე არ ჩადგება! — მოზრდილი კაცის სერიოზულობით მიუგო ბიჭმა.

— ამ ძაღლს რაღა აყმუვლებს!

— ვიღაცას ტირის! — ყრუდ ჩაილაპარაკა ბესაურამ, თან — „მეთქვა ბარემ, ვასოსა ტირის-მეთქი, ერთი რას იტყოდა!“ — გაიფიქრა და გაუკვირდა, რატომ უჭირდა ამაზე სიტყვის ჩამოგდება.

— აუშვი, რაღას უყურებ! — ეფრემამ ბორანს ნიჩაბი შეუბრუნა.

—თვითონ აუშვი, წელი იგრე გამიშეშდა, რომ მოხრაც აღარ შემიძლიან!

— გაგივლის, გაცივდებოდი! — ეფრემამ ბორნის ახსნა დაიწყო.

— ჭიქები მოიკიდე, პაპავ, ხელათ გაგივლის! — ურჩია ბიჭმა.

— საიდან იცი შენ ეგა! — გაეცინა ბესაურას, — მართლა, რომელ კლასში სწავლობ?

— მეშვიდეში!

— რამდენი ორიანი გყავს?

— ვითომ რა მიგავს ოროსანს? — იწყინა ბიჭმა.

— არც ნუგზარს უგავს რამე, მაგრამ ოროსანია!

— ნუგზარი ვიღაა?...

— შვილიშვილია ჩემი.. ის მეექვსეშია, მაგრამ მოგერევა! ჩხუბში ხუთოსანია!

— ჰე, იქნება სამჯერ არი დარჩენილი და, თაკილია, რომ მომერიოს?!

ამ დროს ბორანიც დაიძრა.

— წავედით! — დაიძახა ბიჭმა, გამოცოცხლდა და მერე გაბმით დაიმღერა:

„აჩუ, აჩუ ცხეე-ნო,
საით გაგაჭეე-ნო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაზანი დიდი-ა
შიგ ბებერი ჰკიდი-ა.

— თესვას მორჩნენ, არა? — იკითხა ეფრემამ და ბორანზე გაიარ-გამოიარა.

— ჰო, ორიოდე ჰექტარიღა მორჩათ, გაწვიმდა და ჩამოტანილი თესლი ეგრე დარჩათ,ხათაბალად გამიხადეს... საწყობში წყალს ეყონა და ორი ტომარა მთლად დამბალა... ნაპირზე ნუ დადგები, სველია, ფეხი აგიცურდება.

— ფეხი არა, ხელი! — ჩაიცინა ეფრემამ.

ცივგომბორის თავზე სამზეური ჯერ კიდევ ბრწყინავდა, თუმცა მზე კაი ხანია ჩასულიყო. ბორანი შუა მდინარეში მიცურავდა. ნაძალადევი სიფიცხით მოიზლაზნებოდა წყლის ნაცრისფერი მასა, ხმაურით აწყდებოდა ნავების კიჩოებს, მერე ნავებს შორის პოულობდა გზა-ნავალს და ბრაზმორეული ეჯახებოდა ირიბად ჩადგმულ მსხვილ ნიჩაბს.

ეფრემა ბორნის თავში იდგა, ცხენი აღვირით ეჭირა და დროგამოშვებით რაღაცას უსტვენდა.

ბესაურა ნიჩაბს დაყრდნობოდა.

ბიჭიც მის გვერდით ჩაკუნტებულიყო და ამაოდ ცდილობდა უკვე მოღუშული ბერიკაცის აძრახებას.

— დღეს მამაშენი უნდა ჩამოსულიყო, იმისი ჯერია, — შემპარავად დაიწყო ბესაურამ და ეფრემას გახედა, მაგრამ ეფრემა არ გამოპასუხებია, წაუყრუა.

„ტყუილად გგონია, რომ არ ვიცი... ნუ ჩაგივარდა ენა მუცელში!“ — დაემუქრა ბერიკაცი და უფრო ხმამაღლა გაიმეორა:

— დღეს მამაშენმა მიღალატა-მეთქი, არ ჩამოვიდა...

— იმისი ჯერია? — ვითომ სხვათაშორის იკითხა ეფრემამ, ისე, რომ არ მოუხედავს.

— ჰო, დღეს კვირაა....

— ავად იქნება, თორემ დავიწყება არ იცოდა!

— ჰო, რა ვიცი, შეიძლება.

ორივე გაჩუმდა.

უცებ ეფრემამ ცხენს ხელი უშვა, წინ წაიხარა და წყალში რაღაცას დააშტერდა.

— თოფი, ბესაურ, თოფი მაიტა! ნახე რამსიგრძე გველი მოჰყვება წყალს! პაპაპა, რას იკლაკნება!

ბესაურამ ინსტიქტურად გადმოიგდო თოფი და ეფრემასაკენ წავიდა, მას ბიჭიც მიჰყვა; უცებ ცხენი მოუსვენრად ატოკდა, აფრუტუნდა და მძლავრად აიქნია თავი, ალბათ იმანაც შენიშნა მცურავი. ეფრემა ცხენის წინ წახრილიყო და ბესაურას მოლოდინში გაფაციცებით ადევნებდა თვალს გველის მოძრაობას. ის იყო აფრუტუნებულ და ერთბაშად გადარეულ პირუტყვს მოუბრუნდა დასაწყნარებლად რომ, — ცხენის აქნეული დრუნჩი პანღურივით მოხვდა და წყალში ტყაპანი მოადინა.

მოულოდნელობისაგან გაქვავდნენ ბიჭიც და მოხუციც.

ცხენმაც, თითქოს მიხვდა უნებლიე დანაშაულსო, თავი დახარა, ყურები დაცქვიტა და გაოცებული კაცის თვალებით ჩააცქერდა იმ ადგილს, სადაც პატრონი გაუჩინარდა.

ერთბაშად, გონსმოსული ბიჭის საზარელმა კივილმა შეძრა იქაურობა, იგი უმწეოდ დარბოდა ბორანზე და არ იცოდა რა ექნა.

ბორანი კი წეღანდებურად ლაღად მიცურავდა.

„დაიხრჩობა!“ — თითქოს უბიძგესო, ისე მოსხლტა ბესაურა, ნიჩაბს ეცა და წყლიდან ამოაგდო. ბორანმა სვლას უკლო, ბლოკზე უთანასწოროდ დაჭიმული ჯაჭვის სამკუთხედი თანდათან გატოლფერდდა და ბორანი გაჩერდა.

სწორედ ამ დროს ქვემოთ, შემთხვევის ადგილიდან ცოტა მოშორებით, ეფრემას გასავსებული ხელი გამოჩნდა, მალე თვითონაც ამოყო თავი და რამდენჯერმე ულონოდ მოუსვა გრძელი მკლავები.

„დაბორიალებულია! დაიხრჩობა!“ — ისევ გაუელვა ბესაურას.

— თოკი ნახე ურემზე! კაცი არა ხარ, რა გატირებს!— დაუყვირა აღრიალებულ ბიჭს, თოფი ურმის ჭალზე ჩამოჰკიდა, კურდღელიც ურემზე შეაგდო.

— თოკი — მეთქი! — გაუმეორა ბიჭს.

— არა გვაქვს თოკიი! — დაიბღავლა ბიჭმა.

„დაიხრჩობა! ნამდვილად დაიხრჩობა“! — ჩასძახოდა ვიღაცა ბესაურას.

„ახიც იქნება მაგაზე, დაიხრჩოს!“ — უპასუხებდა ვიღაც ბესაურას მაგიერ.

— მიშველეეთ! — გაისმა წყალში მოფართხალე ეფრემას სასოწარკვეთილი ხმა. დაბნეულობას გაევლო მისთვის და ახლა მთელი ძალით ებრძოდა ტალღებს. მაგრამ თითქოს ფეხზე წყლის ალქაჯი ებღაუჭებაო, ოდნავადაც არ ეტყობოდა წინ წაწევა.

„ცურვა კარგი იცის, რა ემართება!

„კარჩხალზე დაებმებოდა... ნაღდად დაიხრჩობა!..

„ჰოდა, მით უკეთესი! დაიხრჩოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შველა უნდა რამენაირად! შველა უნდა! შველა უნდა!..“

— მიშველეეთ! — გაისმა ისევ ეფრემას შიშით გაყინული ყვირილი. დაღლილიყო, ძალა ელეოდა, გადარჩენის იმედს ჰკარგავდა...

ქულაჯა გაიძრო ბესაურამ და ხელუკუღმა ისროლა ურმის თვლებს ქვეშ. წუთით წყალში ჩაქცეული, ბებერი ვერხვი გაეჩხირა თვალებში...

— ვიხრჩობი! — გაისმა ისევ წყალში უღონოდ მოფართხალე ეფრემას გამყინავი, სასოწარკვეთილი ხმა.

ბერიკაცი შეირხა, ჩექმების გასახდელად დაიხარა, ძლივს გადატეხა ხერხემალში გაყრილი მოუდრეკავი ჯოხი, ტკივილი ცეცხლად წაეკიდა თვალებში, თავით ფეხებამდე დაუარა... მაინც დასძლია სატკივარი. ჩექმები გაიძრო და წყალში გადაეშვა.

ბიჭმა ტირილი შეწყვიტა, აცრემლებულ თვალებში სიხარული და იმედი ჩაუდგა.

ქვასავით ჩაეშვა წყალში ბერიკაცი, ჩაეშვა და გაუჩინარდა.

ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს უხილავი საბმურები დაწყვიტაო, ეფრემამ დამძიმებული მკლავები სწრაფად აამუშავა და ბორნისაკენ წამოვიდა, მაგრამ დინების წინააღმდეგ ძალა არ ეყო და ტალღებს მიენდო; ერთხანს დინებას მიჰყვებოდა, ისვენებდა, ძალას იკრებდა.

მერე ისევ მოუსვა. ნელა, მაგრამ მტკიცედ, დაბეჯითებით მიიწევდა ნაპირისაკენ.

ნაპირზე გასულმა სწრაფად შემოიწურა მაზარის კალთები და სველ, ჭუჭყიან სახეზე მლოცველი მუსულმანივით ჩამოისვა ხელები, თითქოს ღმერთს მადლი შესწირაო გადარჩენისათვის.

ყურებში ჩარჩენოდა საზარელი შხუილი, მუცელი თითქოს ყინულის ნამსხვრევებით ჰქონდა გამოტენილი, მაინც იმ კაცის რაღაც უცნაურ, ძრწოლანარევ სიხარულს განიცდიდა, რომელიც ეს-ეს არის სახრჩობელიდან ჩამოხსნეს.

ალაზანს გახედა.

ბორანზე მხოლოდ ბიჭის ხელაწეული სილუეტი მოჩანდა. რაღაცას ყვიროდა ბიჭი. ის კი არ ჩანდა, მისი მხსნელი...

— იხრჩობაა! დაიხრჩოო... — ჩაესმა ეფრემას მდინარის ხმაურში და შეკრთა, მძიმედ შეეკუმშა გული, ხიფათგამოვლილი კაცის სიხარული სადღაც გაუქრა, მოწყვეტილი ნაბიჯით აუყვა ნაპირს, თვალებით თვითეულ ტალღას ჩხრეკდა, ვიდრე ბორანმისადგომთან მივიდოდა.

ბესაურა არსად ჩანდა.

— დაიხრჩოო!.. — წეღანდელივით წრიალებდა ბორანზე ბიჭი.

— ოუუუ!.. — იტაცებდა ხმას საწყობის წინ საცოდავად ატუზული ძაღლი. ახლა განსაკუთრებით ზარავდა მიდამოს მისი ყმუილი.

დასასრული
შემდეგ
ნომერში

კომკავშირული ბილეთები გვიამგოგენ

პ. შამათავა

სამამულო ომში მრავალმა ქართველმა დაიმსახურა გმირის სახელი. თავი გამოიჩინეს ქართველმა კომკავშირელებმაც. ზოგი მათგანი ბრძოლაში დაიღუპა, ბევრი დაბრუნდა და დღესაც სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურება.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ ამ წიგნის გამოცემით კარგი საჩუქარი მიუძღვნა კომკავშირს.

სან ლორენცოელი ბიჭები

მ. არჯილი

ბავშვებო, როგორ წარმოგიდგენიათ რომი? სახელმძღვანელოში ალბათ წაგიკითხავთ: ორი ათასი წლის წინათ რომი იმპერიის დედაქალაქი იყო, კოლიზეიში გლადიატორები ლომებს ებრძოდნენ. 1810 წელს ეს ქალაქი გაერთიანებული იტალიის დედაქალაქად იქცა. ახლა რომი რესპუბლიკის დედაქალაქია, ხოლო ვატიკანში პაპი ცხოვრობს. რომის მუზეუმები სავსეა ხელოვნების უბადლო შედევრებით. იქნებ ისიც იცით, რომ ქალაქის სიმბოლო ძუ მგელია, ორ ძმას — რემს და რომულს — რომ აწოვებს ძუძუს. გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთ მათგანს, რომულს, 2700 წლის წინათ რომი დაუარსებია.

იქნებ ამაზე მეტიც იცოდეთ, მაგრამ სახელმძღვანელოებით მაინც გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, თუ როგორ ცხოვრობენ დღეს რომაელი ბავშვები, რაზე ფიქრობენ, რა აწუხებთ და, რაც მთავარია, რაზე ოცნებობენ.

ამ წიგნში დღევანდელი რომის ცხოვრებაა მოთხრობილი.

„სან ლორენცოელ ბიჭებს“ რომ წაიკითხავთ, ბევრ რამეს გაიგებთ რომაელ ბავშვებზე და იტალიაზე. დაინახავთ, რომ იტალიელი ბავშვები ბევრი რამით გგვანან თქვენ და განსხვავდებიან კიდეც თქვენგან. გაიგებთ, რითი განსხვავდება ჩვენი საზოგადოება იმათი საზოგადოებისაგან.

ერთი სიტყვით, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, უეჭველად შეგიყვარდებათ რომაელი თანატოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი ულიანოვსკში

ს. მიხალკოვი

ვოლგისპირეთის ქალაქი.
სიმბირსკი ერქვა მაშინ...
აქ დაიბადა, ხის სახლში,
ერთი მალხაზი ბავშვი.
იმ დროს ვინ წარმოიდგენდა,
რომ იქნებოდა იგი
მშრომელთა დიდი ბელადი,
მედგარი ბოლშევიკი.
უბრალო სახლი. ხის სახლი.
მის უკან ბაღი მწვანე—
ცოცხალი ისტორიაა,
ცოცხალი მატიანე!
ამ სახლში ნივთი ყოველი
მისი სახელით ბრწყინავს,
აქ იზრდებოდა, სწავლობდა
ის მრავალი წლის წინათ...
ახლა აქ მუზეუმია.
სტუმრებს არ უჩანთ ბოლო,
აქ მისი პატივმცემელნი
კრძალვით მოდიან მხოლოდ.
აღაფრთოვანებს, ნათელს ჰფენს
ეს სახლი ყველა მათგანს,
და სასოებით ისმენენ
დიდი ცხოვრების ამბავს.
ჩვენც აქ ვართ. განიერდება
აივანი და კარი
ამ სახლის, სადაც ცხოვრობდა
მშრომელთა ალამდარი.
აქ დედა დაფუსფუსებდა,
აგერ ოთახი მამის...
სადაც ღვიოდა მგზნებარე
ფიქრი დღითა და ღამით.
ასე გგონია, ამ წუთას,
საცაა... ეს-ეს არი
მოგესმის ჩქამი ეზოდან,
შემოიღება კარი,
და ვალოდია—მოწაფე
შემოვა ბრწყინავ სახით,
შემოვა... გაცისკროვნდება
ულიანოვთა სახლი.
და აღტაცებით დადგება
სასიხარულო წუთი:
— მე ალგებრაში ხუთი მაქვს,
ლათინურშიაც ხუთი!

როგორც ოდესღაც, წინათაც,
სწორედ ისეა ახლაც,—
აგერ შანდალი, იქ ლამპა,
საწერ-კალამი აქაც.
ესეც საათი... გლობუსი
ნაირი ფერით ბრწყინავს...
იმხანად ვინ რა იცოდა,
ვინ მიხვდებოდა იმას,
რომ უსაყვარლეს, სანუკვარ,
დიდებულ სიტყვას „ლენინს"
მსოფლიოს ყველა ქვეყანა
იტყოდა თავის ენით.
ორი სკამი და მაგიდა,
აი წიგნების თარო...
წიგნი, წიგნი და სულ წიგნი—
ცოდნის და სიბრძნის წყარო.
რვეულებით და წიგნებით,
დინჯი და გულკეთილი
ამ ქუჩით მიაბიჯებდა
სკოლისკენ ყოველ დილით...
ჩვენ სკოლაშიაც შევდივართ,
კლასს მისი მერხი შვენის,—
აქ იჯდა გიმნაზიელი
ულიანოვი—ლენინ!

ვოლგისპირეთის ქალაქი.
სიმბირსკი ერქვა მაშინ...
აქ დაიბადა, ხის სახლში,
ერთი მალხაზი ბავშვი.
დღეს ის სიმბირსკი როდია,
დღეს აქ სხვა ქარნი ჰქრიან,
დღეს იმის პატივსაცემად
ულიანოვსკი ჰქვია.

თარგმნა
არნო ონელმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



უფლისციხე — კლდეში გამოკვაბული ციხე-ქალაქი. წერილობით წყაროებში უძველესი დროიდან იხსენიება, შემდეგ კი—ძვ. წ. IV და I საუკუნეებში, ჩვ. წ. X-XI საუკუნეებში მნიშვნელოვანი ქალაქია. XIII საუკუნეში დაანგრიეს მონღოლებმა. გამოკვაბულები, ისევე, როგორც ცალკეული ნაგებობები, სხვადასხვა დროისაა.

სურათზე: გამოკვაბულის შიდა ხედი.

ნოდარ ჯანბერიძე

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არ არის კუთხე, სადაც ქვეყნის ისტორიულ წარსულზე არ მოგვითხრობდნენ ძველი ციხე-სიმაგრეები თუ ტაძრები, კოშკები თუ სასახლეთა ნანგრევები. ჩვენი ისტორიის, ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლების ეს უტყვი მოწმენი ამაყად აღმართულან მიუვალ მწვერვალებთან, მწვანეში ჩაფლულ ხეობებში.

საუკუნეების მანძილზე ქართულმა არქიტექტურამ მკვეთრად ჩამოყალიბებული ნიშნები შეიმუშავა, რომლებიც მხოლოდ მას ახასიათებს და თავის ადგილს მიაკუთვნებს არქიტექტურის საერთო განვითარებაში.

ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას მონუმენტურობა, საზეიმო იერი და ორნამენტული მორთულობა ახასიათებს, რაც ყოველთვის ჰარმონიულად ერწყმის გარემო ბუნებას.

ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების მასალა ქვაა. საქართველო მდიდარია ამ ბუნებრივი სამშენებლო მასალით. მისი დამუშავების ტრადიცია საუკუნეების სიღრმიდან მოდის. ყოველი მონუმენტური ნაგებობა—ეკლესია, სასახლე თუ ციხე-სიმაგრე ქვისაგან არის აგებული, კედლები კირით არის შედუღაბებული. თანაბრად ნათალი ქვის ბლოკები სიგანეზე რიგ-რიგად მწყობრად არის ერთმანეთზე დაწყობილი; ამ ნაგებობათათვის დამახასიათებელია კამარები, თაღები, ბოძები, რომლებიც კედლებს ბუნებრივად ამთავრებს და ხურავს შენობის ამათუიმ ნაწილს. ეს ნიშანთვისებები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვაგვარია, როგორც ფორმით და მორთულობით, ისე შესრულე-

ქართული ხუროთმოძღვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლნისის სიონი — უდიდესი სამნავიანი ბაზილიკა საქართველოში. აგებულია 478-493 წლებში. ეკლესიის შიგნით საინტერესოა გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, ცხოველთა გამოსახულებები სვეტისთავებზე. ტაძრის სამშენებლო წარწერა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშია საქართველოში.

სვეტისთავი,

ბით. სხვადასხვა დროს აგებული თვით შენობებიც განსხვავებულია ერთიმეორისაგან. თუ საქართველოს დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში მონუმენტური ნაგებობანი ორნამენტული სამკაულებითაც არის მორთული, აღმოსავლეთ მხარეს—კახეთში დეკორი თითქმის უარყოფილია და მთელი მხატვრული ძალა არქიტექტურულ მასათა და ფორმის პროპორციულ შეფარდებაზეა დაყრდნობილი. განსხვავებაა საამშენებლო მასალის გამოყენებაშიც.

როგორია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიული სურათი?

მშენებლობის უძველეს ნიმუშებს წინაკლასობრივ საზოგადოებისკენ მივყავართ. გათხრების შედეგად ენეოლითის ეპოქის (V ათასწლეული ჩ. წ.-მდე) სახლები გამოვლინდა: გეგმაში მრგვალი ან ოვალური ფორმის, შუა ბოძითა და საკვამლე ხვრელით. ბეშთაშენსა და ოზმში-ნასახლართა ნაშთები (IV ათასწლეული და III ათასწლეულის დასაწყისი ჩვ. წელთაღრიცხვამდე), თრიალეთსა და წალკის რაიონში აღმოჩენილი ყორღანული სამარხები და კიდევ ბევრი სხვა მასალა, სამშენებლო ხელოვნების უძველესი ფესვების არსებობას მოწმობს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც პირველი მონათმფლობელურ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებები გაჩნდა (იბერია — ახლანდელი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და კოლხეთი-დასავლეთში), შემორჩენილია რამდენიმე არქიტექტურული კომპლექსი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია იბერიის დედაქალაქ მცხეთის კომპლექსი: არმაზ-ციხე (ბაგინეთი) ჩ. წ.-მდე I ათასწლეულის დასასრულს და ჩვენი ერის დასაწყისს მიკუთვნებული გრანდიოზული ნანგრევები (სქელი სათავდაცვო კედლებით) და ზოგი სხვა ნაგებობა, მცხეთასთან აღმოჩენილი I საუკუნის აკლდამა და არმაზის ხევში სასახლის ნანგრევები გვიჩვენებს იმ დროის სამშენებლო ჩვევებსა და ტექნიკას.

იმ დროის არქიტექტურის შესწავლაში დიდ დახმარებას გვიწევს ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა (ქსენოფონტე, სტრაბონი, ვიტრუვიუსი) ნაწერებიც, რომლებშიც არის ცნობები ხალხური საცხოვრებელი სახლის ტიპზე, ე. წ. „დარბაზის" ხუროთმოძღვრებაზე.

როდესაც წინაფეოდალური ხანის არქიტექტურაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ცალკე არ გამოიყოს კლდეში გამოკვეთილი მშენებლობა, რომლის შესანიშნავი მაგალითია უფლისციხე, გამოქვაბული—ქალაქი. მისი ცალკეული სადგომები გვიანანტიკურ პერიოდს მიეკუთვნება და ახლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობებით. ამ რთულ კომპლექსში გაირჩევა სავაჭრო-სახელოსნო, საზოგადოებრივ-საცხოვრებელი თუ სამხედრო-სამეურნეო დანიშნულების ზონები. გამოქვაბულებში კედლები ოსტატურად არის დამუშავებული, გამოყენებულია დეკორირებული ჭერი, კედლის სვეტები და სხვა.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მონათმფლობელური ურთიერთობათა დასასრული და ახალი, ფეოდალური ფორმაციის ჩასახვა-განმტკიცება IV-V საუკუნეში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. IV საუკუნის პირველ ნახევარში (337 წელს), ქრისტიანული ეკლესიის იდეოლოგიის აღიარების შემდეგ, ქართული კულტურის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა. ამ დროიდან მოყოლებული, თვით XIX საუკუნემდე, საქართველოს მრავალი არქიტექტურული ძეგლი შემორჩა, რომლებიც ქართული არქიტექტურის ისტორიის განვითარებაზე მეტყველებს.

ქართული არქიტექტურის განვითარება ესატყვისება იმ ისტორიულ გარემოს, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას, რომელსაც საქართველო თავისი ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე განიცდიდა.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ, როცა ქართულ არქიტექტურას ქრისტიანული სამყაროს არქიტექტურასთან, იდეური სიახლოვის გამო, საერთო ნიშნები უჩნდება, ქართული ტელოვნება მაინც ინარჩუნებს და ავითარებს თავის დამახასიათებელ, ეროვნულ ხასიათს.

თუ საქართველოში მიმოფანტულ ძველ საკულტო ნაგებობებს გავიხსენებთ, ისინი ორ ჯგუფად წარმოგვიდგება: ერთი მხრივ, უგუმბათო, ხოლო მეორე მხრივ — გუმბათით დაგვირგვინებული ნაგებობები. პირველი ჯგუფი ბაზილიკურ და ერთნავიან ანუ დარბაზულ ნაგებობათაგან შედგება.

ბაზილიკა—დაგრძელებული სწორკუთხედი ფორმის შენობაა, სვეტების რიგებით დაყოფილი სამ ან ხუთ ნაწილად. ამ ნაწილებს ნავებს ეძახიან. შენობის შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და განიერია.

დასაწყისში ქართული საეკლესიო არქიტექტურისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ადგილობრივი, ხალხური ტრადიციებით ნაკარნახევი ცენტრალურ-გუმბათოვანი კომპოზიციებისადმი მისწრაფება, რაც ბოლომდე გაჰყვა ძირითად მოტივად ქართული არქიტექტურის ისტორიას, ხოლო მეორე მხრივ-გარედან მოტანილი და ოფიციალური ეკლესიით დანერგილი თემა ბაზილიკური ნაგებობისა. ეს უკანასკნელი V საუკუნის ბოლოს ფართოდ ვითარდება. ბაზილიკები საქართველოში განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის და ბევრი თავისებურებით გამოირჩევა.



მცხეთა. ჯვრის ტაძარი—აგებულია 586/87—604 წწ. მთაზე, იმ ადგილას, სადაც ალმართული იყო ჯვარი — ქრისტიანობის სიმბოლო. ამან განსაზღვრა ტაძრის სახელწოდებაც. ეს არის პირველი ნიმუში ე. წ. „ჯვრის ტიპის“ ტაძრისა, რომელმაც გავრცელება ჰპოვა VII საუკუნეში.

ბაზილიკურ ნაგებობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბოლნისის სიონი (478-493 წ.). ამ ნაგებობის არქიტექტურას მოეპოვება ქართული შუასაუკუნებრივი ხუროთმოძღვრების ადრინდელი საფეხურებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: გამოშვერილი საკურთხეველი, ნალისებრი თაღები, შესასვლელის თავზე ხვრელები და სხვა. ბოლნისის სიონზე არსებული წარწერა საქართველოს ტერიტორიაზე ქართული დამწერლობის ყველაზე ძველი ნიმუშია.

სხვა ბაზილიკებისაგან გამოირჩევა VI საუკუნეში აშენებული-ანჩისხატის ეკლესია (თბილისში) და ურბნისი, რომლებიც XVII საუკუნეშია შეკეთებული.

ბაზილიკური ნაგებობების არქიტექტურულმა თემამ შემდგომში დიდი გავრცელება ვერ ჰპოვა. ქართული არქიტექტურისათვის უფრო მახლობელი იყო ძველ ტრადიციებთან მჭიდროდ დაკავშირებული ცენტრალურ-გუმბათოვანი კომპოზიცია და სწორედ იგი იქცა უმთავრეს თემად ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებაში. ბუნებრივია, ამ ტიპის ნაგებობებმაც ისტორიის მანძილზე თავისებური განვითარება განიცადა და სხვადასხვა ეტაპებზე თავის დამახასიათებელ ნიშნებს იძენდა.

გუმბათოვან ნაგებობათა არქიტექტურული კომპოზიცია, რომელშიც არქიტექტურულ მასათა აგება, ისევე როგორც ინტერიერის სივრცითი გადაწყვეტა, ცენტრალურ ვერტიკალურ ღერძს ემორჩილება — ფორმათა ჰარმონიულ შეფარდებასთან ერთად, მთელი ხუროთმოძღვრული ორგანიზმის ერთიანობას ქმნის.

უკვე VI საუკუნის ბოლოს საქართველოში შენდება მრავალი შესანიშნავი გუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც ამთავრებს შემოქმედებითი ძიების მთელ ეტაპს და გამოირჩევა კომპოზიციის სიმკაცრით, არქიტექტურულ ფორმათა ტექტონიურობით, მორთულობის იშვიათი გამოყენებით და ქვის წყობის უმაღლესი ოსტატობით.

ამ ძეგლების გვირგვინია საქვეყნოდ სახელგანთქმული მცხეთის ჯვარი (586 — 604 წ.). ჯვრის არქიტექტურაში ფუნქციური და მხატვრული მომენტები, არქიტექტურული ფორმები ერთიან ამოცანას ემორჩილება. გეგმა მარტივად და მკაფიოდ არის გადაწყვეტილი. ჯვრის ოთხივე მკლავი მომრგვალებულია. მკლავებს შორის, კუთხეებში მცირე სადგომებია. ეკლესიის გარე ზომები არც თუ დიდია, მაგრამ შიგნით ეკლესია ისევ „გადაწყვეტილი“, რომ მისი ერთიანი, თავისუფალი სივრცე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. შენობის ფასადები უპასუხებს შიდა გადაწყვეტას. რაც შეეხება გარემო ბუნებასთან ნაგებობის კავშირს, იგი სამაგალითოა არქიტექტურის მთელ ისტორიაში.

ჯვრის ტიპის ძეგლები მხოლოდ საქართველოსა და სომხეთშია ცნობილი. მცხეთის ჯვრის არქიტექტურამ დიდი გავლენა იქონია ქართული არქიტექტურის შემდგომ განვითარებაზე.

გუმბათოვანი ნაგებობის განვითარების შემდგომ ეტაპს წრომის ტაძარი (626-634 წ.) წარმოგვიდგენს. აქ ჩნდება არქიტექტურული კომპოზიციის მნიშვნელოვანი მომენტები: გეგმის გრძივი ღერძის მიმართულებით განვითარება, თავისუფლად მდგომ ოთხ ბოძზე დაყრდნობილი გუმბათი (ჯვარში გუმბათი კედლებიდანაა ამოზრდილი, იქ სვეტები არ არის), პატრონიკე,—მეორე სართულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანი — სამნავიანი ეკლესია, რომელიც ორი გუმბათით არის დაგვირგვინებული, რაც უნიკალური მოვლენაა საქართველოში. აგებულია VIII-IX საუკუნეებში. ეკლესია მთავარი ნავის სამივე მხარეს ორსართულიანია. სამშენებლო მასალად აგური და რიყის ქვაა გამოყენებული.

ზე გამოყოფილი სადგომი, — აღმოსავლეთის ფასადზე გაფორმების ახალი პრინციპის შემუშავება და სხვ. ყველაფერ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული არქიტექტურის შემდგომი განვითარებისათვის.

VII საუკუნის არქიტექტურაში აღინიშნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის მაგალითებია იშხანი და ბანა.

VII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს არაბები შემოესივნენ. მძიმე განსაცდელი დაადგა ქვეყანას, მაგრამ ამან ვერ შეძლო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების შეჩერება. არქიტექტურა თანდათან ახალ ნიშნებს იძენს, და X—XI საუკუნეებიდან ავლენს თავის შესაძლებლობებს.

VIII—IX საუკუნეების ასეთ ძეგლთაგან აღსანიშნავია გუმბათიანი დიდი ეკლესია კახეთში, სოფელ შრომის ახლოს, აგრეთვე გურჯაანის ეკლესია, რომელიც ორი გუმბათით არის დაგვირგვინებული, რაც უნიკალურია ქართულ ხუროთმოძღვრებაში.



ნეკრესი — ეპისკოპოსის ორსართულიანი სასახლე, აგებული IX საუკუნის პირველ ნახევარში. ერთ-ერთი ნაგებობაა ძველი მონასტრის კომპლექსში, რომელიც რამდენიმე საინტერესო ნაგებობისაგან შედგება, მათ შორის არის IV საუკუნის ეკლესია.

ქრონოლოგიურად ამ დროს მიეკუთვნება რიყექვისაგან ნაგები სამოქალაქო შენობებიც — ორსართულიანი სასახლეები ნეკრესში, ჭერემში და სხვ. მაგრამ არქიტექტურის განვითარების დამახასიათებელი ნიშნები მაინც ყველაზე მეტად საკულტო დანიშნულების ძეგლებზეა შემორჩენილი, რომლებიც გაცილებით უკეთესად არის შემონახული, ვიდრე სამოქალაქო ნაგებობები.

საქართველოს არქიტექტურაში უფრო მეტად და მეტად იჩენს თავს დეკორაციული მომენტები. ფასადები მაღალმხატვრული სამკაულით არის დამშვენებული. ამის მაგალითად გამოგვადგება X—XI საუკუნეებში აშენებული კაცხის ეკლესია.

ახლებურად არის ფასადები „გადაწყვეტილი“ ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ 964 წელს აგებულ კუმურდოს ტაძარში.

სოფ. ოშკში 958 წელს აგებული კათედრალი განსაკუთრებული მასშტაბურობით, პროპორციებით და დიდებული შიდა სივრცით გამოირჩევა. დეკორაციული ელემენტები, რელიეფები და ქვაზე მდიდრული კვეთა ცხოველხატულობას ანიჭებს მის ფასადებს.

X—XIII საუკუნეებს შუა პერიოდი ეს ის დროა, როცა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას კულტურის ახალი გაფურჩქვნა მოჰყვა.

ეს არის დიდი პოეტების, მოაზროვნეების, მხატვრებისა და ოქრომჭედლების ეპოქა, ეპოქა, ქართული კულტურის უბრწყინვალესი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებისა, რომლის გვირგვინია შოთა რუსთაველის პოემა.

ამ ეპოქაში ქართული ხუროთმოძღვრება ახალ წარმატებებს აღწევს. ჩამოყალიბდა გუმბათოვანი ტაძრის ყველაზე მეტად გავრცელებული სახე. გეგმაში ეს ნაგებობა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე (მოგაგონებთ: ეკლესიაში საკურთხეველი აღმოსავლეთის მხარეს არის) წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელიც მასებით ჯვრის გამოსახულებას ქმნის. საერთო მოცულობაში მთავარ ყურადღებას მრავალწახნაგოვან ყელზე დაფუძნებული მაღალი გუმბათი იპყრობს. გაიზარდა ტაძართა ზომებიც. ფასადთა მორთულობა არნახულ განვითარებას აღწევს. დეკორაციული მოტივი საგრძნობლად მატულობს. ნახატი დიდი ოსტატობით სრულდება. ავტორები ითვალისწინებენ ყველა ნიუანსს (ჩრდილ-სინათლე, ქვაზე ჭრის სიღრმე და სხვ.), რომ სამკაულმა მეტი შნო და ლაზათი მიიღოს. ამ დროის ძეგლების ფასადებზე ორნამენტულ მორთულობასთან ერთად ხშირად შეხვდებით რელიეფებს (კედლის ქანდაკებას), რომლებიც გარკვეულ შინაარს გამოხატავს.

უმაღლეს ოსტატობას აღწევს კედლის მხატვრობაც — მონუმენტური ფერწერა. ტაძრების შიდა კედლები ფრესკული ფერწერით იფარება. ჩვენში მონუმენტური ფერწერის ბევრი შესანიშნავი ნიმუშია შემონახული.

როცა ყველა ამ თვისებაზე ვლაპარაკობთ, უნებლიეთ ისმება კითხვა: რა თავისებურება ჰქონდა ქართულ ხუროთმოძღვრებას ბიზანტიის, სომხეთის და რომანული ქვეყნების შუა საუკუნეების არქიტექტურისაგან განსხვავებით? ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, სამშენებლო მასალის გამოყენებაში, ფასადთა მორთულობის პრინციპებსა და მასათა პროპორციულ ურთიერთშეფარდებაში გამოიხატება.

ამ ეპოქაში საქართველოს ცენტრალურ, დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებში იგება სამი უდიდესი ტაძარი, რომლებიც ეტაპურ ნაწარმოებებად გვევლინება, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი კათედრალები: ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, მცხეთის სვეტიცხოველი და ალავერდის ტაძარი.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ილია სიხარულიძე

დაბადების 80 წლისთავის გამო.

„გამარჯობათ, გამარჯობათ,
ჩემო კარგო პატარებო!
ჩემს ფიქრსა და ოცნებაში
დღე და ღამე ნატარებო.

გოგონებო, ბიჭუნებო,
მოჭიკჭიკე ჩიტუნებო,
მუდამ ფრთააცქვეტილებო,
გულღიებო, კეთილებო!“

ალბათ ბევრს გაახსენდება ი. სიხარულიძის ეს ლექსი, მის მიერ დიდი სიყვარულით ნათქვამი სკოლებსა თუ პიონერულ ბანაკებში, ბიბლიოთეკებსა თუ საბავშვო ბაღებში, რომლის ხშირი სტუმარი გახლდათ პოეტი. გაგახსენდებათ „ყინულის ლოლუები“, „ფისუნია, შე მსუნაგო“, „ამ პატარას, იმ პატარას“ და კიდევ ბევრი სხვა კარგი ლექსი, მისი მადლიანი კალმით დაწერილი...

ილია სიხარულიძე ბავშვების სიყვარულმა პირველად სკოლაში მიიყვანა, წლების მანძილზე პედაგოგის ნაყოფიერ შრომას ეწეოდა, ამასთან ადგენდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებს. ლექსებს კი დროდადრო წერდა, შემდგომ კი, ვალმოხდილი პედაგოგი, მთელი სულითა და გულით გაიტაცა საბავშვო პოეზიამ. ჩაუჯდა ფოლკლორს, განსაკუთრებით ხალხურ საბავშვო პოეზიას, თვალყურს ადევნებდა თანამედროვე მწერლობის განვითარებას. იმხანად გამოქვეყნებულმა პაოლო იაშვილის ლექსებმა „მედეას ლეკვმა“ და „ოთარ შოფერმა“ პოეტს ახალი ლექსები შთააგონა: „უჩა“, „მზია, ბუზი და წიწილა“, „საჰაერო განგაში“ და სხვ. რომლებიც გამოქვეყნებისთანავე აიტაცა მკითხველმა.

ილიას ხშირად ნახავდით კიროვის სახელობის ბაღში. ახლოს ცხოვრობდა ამ ბაღთან და უყვარდა იქ დასვენება: ან იქნებ იმიტომაც მოისწრაფოდა ამ ბაღისაკენ, რომ მისი მოედნები მუდამ სავსეა მოჟრიამული, „ფრთააცქვეტილი ჩიტუნებით“. ერთხელაც, ჩასულა ამ ბაღში ილია, ძვირფასი, ახალთახალი საზაფხულო პალტო გაუხდია, იქვე ხეზე ჩამოუკიდია და ლექსის წერას შესდგომია. ვინ იცის, რა ხანი გავიდა, ილიამ თავისი ქაღალდები აკეცა, პორტფელში ჩაიწყო და წამოვიდა. „გახარებული მოვდიოდი, ლექსი კარგი გამომივიდაო“, — იგონებდა ილია. შინ რომ მისულა, პალტო მერე მოჰგონებია. მაშინვე უკან გაბრუნებულა, მაგრამ რა დაგიტოვებია, რას ეძებ!.. „რაც იმ ლექსმა გამახარა, პალტომ ჩამამწარაო“, — იცინოდა ილია... მაინც რამ დამავიწყა, ნემსი ხომ არ იყოო... — სინანულით იქნევდა თავს.

ილია სიხარულიძე ხშირი სტუმარი იყო ჩვენი საბავშვო ჟურნალ-გაზეთისა, განსაკუთრებით „ოქტომბრელისა“ („დილა“), რადგან პატარებისათვის უფრო ეხერხებოდა წერა. იგი ჟურნალ „დილას“ და გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი იყო. ვინ იცის რამდენს აქვს შემონახული სამახსოვროდ ბავშვობაში მიღებული მისი შთამაგონებელი წერილები. საბავშვო ჟურნალ-გაზეთის რედაქციებს ყოველთვის ჰქონდათ ილია სიხარულიძის ლექსების მარაგი, ხშირადაც ბეჭდავდნენ. ამასთან, სადაც კი მიდიოდნენ, შეხვედრები იყო ეს, თუ ლიტერატურული საღამოები, ილიასაც ეპატიჟებოდნენ.

ერთხელ საახალწლო ნაძვის ხის დღესასწაულზე გორის მესამე საშუალო სკოლაში ვიყავით მიწვეული, ილიაც გვახლდა. ნინო ნაკაშიძეს განსაკუთრებული მოწიწებით და ყურადღებით ეპყრობოდა. გასაგებიც იყო, თავისი გზის მაჩვენებლად თვლიდა მწერლობაში.

გულთბილად, მეგობრულად ექცეოდა ანა ხახუტაშვილს, მოფერებით მიმართავდა: ანიკოო. პატივისცემას გამოხატავდა გიორგი ქუჩიშვილის მიმართ. მისი ყურადღება არ გვაკლდა ახალგაზრდებსაც, რომლებიც ამ ჯგუფს ვახლდით: მაყვალა მრევლიშვილს, ერემია ქარელიშვილს...

ნაძვის ხის ირგვლივ შეკრებილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

მოზეიმე ბავშვებთან პირველად ილიამ თქვა ლექსი და მოცეკვავეებს შეერია.

ილიას ასეთმა მხიარულებამ ჩვენც გაგვახალისა და ყველანი ჩავებით ფერხულში.

პოეტი დღე და ღამე თავის პატარა გმირებზე ფიქრობდა. იმისი სალაპარაკო სულ ბავშვი იყო, მისი ხასიათი, თვისებები, განცდები. სწორედ ბავშვის ფსიქოლოგიისა და მისი სამყაროს ცოდნამ შეაქმნევინა მას საბავშვო პოეზიის ნამდვილი შედევრები. თუნდაც, ლექსი „ამ პატარას, იმ პატარას!" ეს ლექსი თავისთავად იმღერება, რიტმი აწყობილია დოლის ხმაზე.

ერთ წელიწადს გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციამ თამაში წამოიწყო. თამაში ასეთი იყო: ბავშვებს დავალებები ეძლეოდათ და, ვინც ყველა ამ დავალებას შეასრულებდა, ის დასასვენებლად ქალაქ მზიანეთში მიდიოდა. ეს ქალაქი მათ თვითონ აეგოთ: დაეგეგმათ ქუჩები, შეექმნათ ქალაქის მმართველობა. ერთი სიტყვით, რაც კი რამ ქალაქს ესაჭიროებოდა, ყველაფერი იქ შეკრებილ ბავშვებს უნდა გაეკეთებინათ.

ამ „ქალაქისათვის" ბორჯომის ხეობაში ერთი თავისუფალი ადგილი შეირჩა. როცა ეს უკაცრიელი ადგილი ახმაურდა და გაშენდა „ქალაქი" მზიანეთი, 1958 წლის ივლისი იდგა. მზიანეთს მწერლები ესტუმრნენ: იოსებ გრიშაშვილი, ილია სიხარულიძე, იონა ვაკელი, გრიგოლ ბერძენიშვილი, ოთარ კუპრავა და კომპოზიტორი რევაზ ლალიძე.

სტუმრებს ჭიშკართან შეეგებნენ მზიანეთელები. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ალეკო ქარსელაძემ, სტუმრები მზიანეთის გასაცნობად მიიწვია. ქალაქის დათვალიერების შემდეგ მშენებლები ყოველ კარავთან, ყოველ ქუჩაზე სიამოვნებით ხვდებოდნენ სტუმრებს. ნაშუადღევს სტუმრები და მასპინძლები მწვანე თეატრში შეიკრიბნენ.

ქალაქ მზიანეთის წესრიგით განცვიფრებული იყვნენ სტუმრები. პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა მზიანეთის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ამ „მზიანეთს" ერთი „ნაკლი" აქვს: იგი ძალიან კარგია!"

შეხვედრაზე სტუმართაგან ზოგმა სიტყვა უთხრა მზიანეთელებს, ზოგმა ლექსი წაიკითხა. ილიამ ჯერ თავისი ლექსი — „გამარჯობათ, პატარებო!" — თქვა, ამას მოაყოლა „ამ პატარას, იმ პატარას!" ბავშვები ერთხანს განაბულები იყვნენ, მერე კი, ჯერ ხმადაბლა აჰყვნენ ილიას, თანდათან წათამამდნენ და პოეტთან ერთად დააგუგუნეს:

დოლი მღერის:
ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას.
იმ პატარას,
ამ პატარას!

ეს დიდი გამარჯვება იყო ლექსისაც და პოეტისაც. ამით ძალიან გაიხარა ილიამ. ვინ იცის რამდენი ლექსი წაიკითხა იმ დღეს. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ბავშვები თვითონ ეუბნებოდნენ: აბა, ეს ლექსი წაგვიკითხე და აბა, ეს ლექსიო...

მწვანე თეატრში შეხვედრა დამთავრდა. ზეიმი, „ქალაქის" მოედანზე გაგრძელდა. ისმოდა სიმღერები, გაიმართა ცეკვები, ბავშვები სულ ილიას გარშემო გროვდებოდნენ, რადგან ყველაზე მეტად მან აუბა მხარი ბავშვებს.

იმ ბავშვებს, რომლებიც ილიასთან ცეკვავდნენ, ალბათ მთელ თავიანთ სიცოცხლეში არ დაავიწყდებათ მაშინდელი გართობა საყვარელ პოეტთან ერთად.

ბავშვების მიერ გაშენებული ქალაქი მზიანეთი ილიას ძალიან მოეწონა, პიონერებს აღუთქვა: ამ მზიანეთზე ლექსი უნდა დავწეროო. მართლაც, ორიოდე დღის შემდეგ მოიტანა ლექსი გაზეთ „ნორჩ ლენინელის" რედაქციაში. ლექსის სათაური იყო „მზიანეთი". მოგვეწონა. რაკი ეს მშვენიერი ლექსი მის კრებულში არ დაბეჭდილა, ამიტომ აქ მთლიანად მოვიტან:

მზიანეთი ჩვენს პატარებს
მთებში გაუშენებიათ;
მთებს — ქალაქი,
ქალაქს მთები
როგორ დაუმშვენებიათ!
რა საზღაპრო ქალაქია
რა წარმტაცი ალაგია!
პიონერმა, ვინაც თავი
შრომით, საქმით ისახელა,
ყველა მზიანეთელია,
მზიანეთში არის ყველა!
რა ხალისით აშენებენ
ქალაქს მზიანეთელები:
თბილისელნი, ბათუმელნი,
გორელები, მცხეთელები,
აშენებენ და აგებენ,
აშენებენ, ამშვენებენ.
მოდით, ნახეთ სუყველაფერს
მასპინძლები გაჩვენებენ.
უცქერთ, ცქერით ვეღარ ძღებით,
გაოცებით იმზირებით,
გხიბლავთ კოხტა მოედნები,
ქუჩები და გამზირები.
ისმის ბავშვთა ჟრიამული.
მათი „მზად ვართ" მქუხარეა;
თავს დაჰხარით ცა ლაჟვარდი,
ირგვლივ მთებსაც უხარიათ!
მზიანეთი, მზიანეთი,
პიონერთა ქალაქია
რა საზღაპრო ქალაქია!
რა წარმტაცი ალაგია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპოზიტორებმა ილიას ბევრი ლექსი სასიმღეროდ აქციეს. ამ სიმღერებს მღერიან საბავშვო ბაღებში, სკოლებში...

ილია სიხარულიძემ ხალასი ნიჭით და დაუღალავი შრომით საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ საბავშვო მწერლობაში. მას ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. მის წიგნებზე კარგი რეცენზიები იწერებოდა, მაგრამ განსაკუთრებით გულს უხარებდა ბავშვების გულთბილი შეხვედრები, ზეპირად რომ ამბობდნენ მის ლექსებს.

მისაბაძია პოეტის მეგობრობა ნინო ნაკაშიძესთან. მწერალი ქალი, როცა ღრმა მოხუცებულობის დროს გარეთ არსად დაიარებოდა, ილია ხშირად მოინახულებდა ხოლმე. კვირას როგორ გაუშვებდა, ნინოსთან რომ არ შეევლო, არ მოეკითხა. ესაუბრებოდა ქართულ საბავშვო მწერლობაზე. ასე უხდიდა იგი მადლობას თავის მრჩეველსა და გზის მაჩვენებელს, უხუცეს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ნინო ნაკაშიძეს.

ილია სიხარულიძეს დაბადების სამოცდამეათე წლისთავის იუბილე გადაუხადეს. საქართველოს მწერალთა კავშირის დარბაზი სავსე იყო მისი ყოფილი მოწაფეებით, მკითხველებით. ყველაზე უფრო იმ პატარების მისალმებამ ააღელვა, დღე და ღამე სულ ფიქრსა და ოცნებაში რომ ატარებდა, მოჭიკჭიკე ჩიტუნებს რომ ადარებდა. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მიიღო ძვირფასი ჯილდო — იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი.

სწორედ ილია სიხარულიძეზე ითქმის, კალამი ხელიდან გაუვარდაო. მართლაც, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე წერდა იგი. მის მიერ უკანასკნელ დღეებში დაწერილი ლექსები კარგა ხანს ქვეყნდებოდა ჩვენს საბავშვო ჟურნალებსა და გაზეთში.

ილია სიხარულიძე საქართველოს მწერალთა კავშირს თავის ოჯახს ეძახდა და ამ ოჯახმა დიდი მწუხარებით მიაბარა მიწას 1965 წლის იანვარში, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლავრენტი ჭიჭინაძე.

იაროსლავ
იოსელიანი



მხატვარი
გურამ
მლებრიშვილი

მოთხრობა

„ქილოგა“ წყალქვეშ

წყალქვეშა ნავი „მინოგა“ ზედაპირზე ამოცურდა, გოტლანდს ჩაუარა, გზის ყველაზე უფრო საშიში მონაკვეთი — ფინეთის ნაპირსა და კუნძულის ჩრდილოეთ კიდეს შორის — უკან მოიტოვა და ახლა შეეძლო სუფთა ჰაერი გადაეყლაპა. სწორედ ამ უბანში მოუყარეს თავი ფაშისტებმა თავიანთ ნავსაწინააღმდეგო კატერებს, ერთიანი დანაღმული ველები გამართეს, ბადეების სისტემით გადაღობეს მთელი ზღვა და არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა წყალქვეშა ნავები ამ მიდამოებში ვერ გაიჭანებდნენ.

ნავის უფროსსა და მესიგნალეს ბოგირზე სწრაფად ამოჰყვა ნავის კომისარი სერაფიმ ისიდორეს ძე კრუგლოვი.

ეს იყო ახალგაზრდა ლეიტენანტი, სასიამოვნო გარეგნობისა, მხიარული და გონებამახვილი კაცი. მის ახლოს მუდამ ხალისი სუფევდა.

— ეჰ, ცოტა ადრე ამოვცურეთ, გაგვევლო წყალქვეშ კიდევ თუნდაც ორმოცი მილი, — თითქოს ოცნებობსო, ისე თქვა, როცა არწივის მზერით გაზომა ჰორიზონტი. — მაგრამ რა გაეწყობა, აღარ იძვრის წინ ჩვენი „კალოში“. საჭიროა აკუმულატორების დამუხტვა.

ნათელი ღამე იყო. სამბალიანი ტალღისა და მსუბუქი კვამლის მიუხედავად, ჰორიზონტის აღმოსავლეთ ნაწილზე რომ ჩაწოლილიყო, წყალქვეშა ნავი იოლად შეიძლებოდა აღმოეჩინათ სანაპირო სათვალთვალო პუნქტებიდან, არც ნავებზე მონადირე კატერებს გაუჭირდებოდათ მისი შემჩნევა, მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიდამოებში რომ დათარეშობდნენ ონავარი ზვიგენებივით.

— არა უშავს, „კალოში“ არც ისე ურიგო გამოდგა, — უპასუხა ნავის უფროსმა, მესამე რანგის კაპიტანმა თარხნიშვილმა, — ბოლოსდაბოლოს, განა ასე მძიმე პირობებში არ გაცურა წყალქვეშ ასობით მილი? მარაგი გათავდა, უნდა შეივსოს, ხომ მართალია?

მეორე მსოფლიო ომის დღეებში წყალქვეშა ნავების წყალქვეშ ყოფნის დრო განსაზღვრული იყო. ყოველ 40-60 საათში ერთხელ მაინც უნდა დავმუხტათ აკუმულატორი, რომ ცურვა განეგრძოთ. მაგრამ საბჭოთა წყალქვეშელები ხშირად ტექნიკას შეუძლებელს გამოსწურავდნენ ხოლმე. ას საათზე მეტი გაატარა წყალქვეშ „მინოგამ“ და წარმატებით გადალახა ნავსაწინააღმდეგო ზონა, გასცდა დანაღმული ველის მიჯნას — გოტლანდს — და თავი დააღწია აფეთქების უდიდეს საფრთხეს. მარტო ფინეთის ყურეში ფაშისტებმა თხუთმეტი ათასი ნაღმი ჩააწყეს. ეს თხუთმეტი ათასი სიკვდილი იყო. ამას გარდა, ნავი შეიძლება თევზივით გაბმულიყო ნავსაწინააღმდეგო ბადეში ან ფაშისტების მოდარაჯე კატერთა სიღრმის ბომბების მსხვერპლი გამხდარიყო.

— ამხანაგო უფროსო, მარცხნივ პროჟექტორია! — მოახსენა მესიგნალემ. ნავის უფროსმა თავისი ღამის ბინოკლი იქით მიმართა, სადაც, ის იყო, პროჟექტორის შუქმა გაიელვა და მაშინვე ჩაქრა. საგულდაგულოდ შეათვალიერა ჰორიზონტის მთელი ბნელი ნაწილი კუნძულის მხარეს, თანდათან რომ რჩებოდა უკან. მაგრამ, რაკი საეჭვო ვერაფერი შენიშნა, განკარგულება გასცა დაეწყოთ აკუმულატორების დამუხტვა, თან სიჩქარეც მოემატებინათ, რათა სწრაფად გასულიყვნენ ღია ზღვაში და ბალტიის დასავლეთ მხარეს გაჭრილიყვნენ, სადაც უკვე პირისპირ შეეყრებოდნენ მტრის გემებს.

„მინოგა“, როგორც იტყვიან, პოზიციურ მდგომარეობაში იყო — ნახევრად ზედაპირზე. ჩანდა მხოლოდ დანაშენი და საბრძოლო ჭრილი ისე რომ, ორსავე მხარეს ორი უზარმაზარი ტალღის „ხნულს“ ტოვებდა. ეს ტალღები შორიდანვე ჩანდა. ნავის უფროსი სამეთაურო ადგილზე იდგა, ჭრილის ზედა ლუკის მარცხენა მხარეს, ხელში ბინოკლი ეჭირა. ბოგირის წინაფრის ზემოთ თავაწეული რაღაცით მოგაგონებდათ არწივს, რაღაც ერთი წუთით რომ დამჯდარიყო ბექობის თავზე და უკვე ასაფრენად ემზადებოდა. ნავზე მას „მამას“ ეძახდნენ.

გიორგი იორამის ძე თარხნიშვილი იშვიათი ენერგიით დაჯილდოებული ადამიანი იყო. შავგვრემანს, ტანწვრილსა და მაღალს დიდრონ თვალებში მუდამ მხიარულების ნაპერწკლები უციმციმებდა. დღის განმავლობაში გიორგი ხშირად შეიხედავდა ხოლმე ყველა განყოფილებაში, ყოველთვის ასწრებდა რიგით მეზღვაურებთან გასაუბრებას, გახუმრებას. მაგრამ ახლა, ბოგირზე მდგარი კაპიტანი აღარ იცინოდა. მეზღვაურთა შორის სამართლიანად იტყვიან ხოლმე: ღია ზღვაში, ღამით, ვინც პირველად დაინახავს მოწინააღმდეგეს, ის გაიმარჯვებსო.

გოტლანდის მხრიდან ისევ გაიელვა პროჟექტორის შუქმა. ბრიალა სვეტი ნავს მიუახლოვდა და ისევ ჩაქრა. თითქოს უფრო კუშტად ჩამობნელდა.

— მგონი, რაღაც სიგნალებს იძლევიან, — გადაულაპარაკა თარხნიშვილმა გვერდით მდგომ კრუგლოვს. — გეზი უნდა შევცვალოთ, შეიძლება მტრის ბადრაგები გამოჩნდეს, ისეთია პროჟექტორის შუქის მიმართულება, აი იმ მხრიდან...

— იმ მიმართულებით საით უნდა მიჰყავდეთ ბადრაგი?

— როგორ თუ საით? კოტკაზე, იქიდან კი, რკინიგზით, ლენინგრადის ფრონტზე, — აუხსნა გიორგიმ. — ასე რომ, აქ ჩაძირული ყოველი ფაშისტი ლენინგრადელთა მოალყეებს დააკლდებათ სათვალავში!

საბრძოლოდ გამზადებულმა „მინოგამ“ კურსი იცვალა და იმ მხარეს წავიდა, სადაც, გიორგის ვარაუდით, მტრის ბადრაგი მიემართებოდა. დრო გადიოდა, მოწინააღმდეგე არ ჩანდა, წყალქვეშელთა ასი თვალი და ასი ყური ამაოდ იქანცებოდა. ერთი საათიც გავიდა. თარხნიშვილმა უკვე დაკარგა მტერთან შეხვედრის იმედი და გადაწყვიტა ისევ წინანდელი მიმართულება აეღო, რომ ანაზდად ისევ იელვა სინათლის სვეტმა. ერთი წამით შუქი ისე აღმოჩნდა მიმართული, რომ თითქმის ერთდროულად შენიშნეს ფაშისტების ბადრაგი მესიგნალემ, უფროსმა და კომისარმა. ორი დიდი ტრანსპორტი იყო, ორი საესკადრო ნაღმოსანი და ათზე მეტი — ნავებზე მონადირე კატერი.

— საბრძოლო განგაში! სატორპედო იერიში! — გაისმა უფროსის მკაფიო ხმა, რაც თითქოს ავტომატურად გაიმეორეს სასტიკი ბრძოლის მაუწყებელმა ზარებმა და „მინოგა“ ელვის სისწრაფით გაეშურა მტრის შესახვედრად.

— გაგვიჭირდება დღეს, ბევრნი მოდიან ჩვენს „კალოშზე“ ეს ოხრები, ქაჯებივით იცავენ გემებს, — თითქმის ჩურჩულით ეუბნებოდა კომისარი უფროსს, ვიდრე წყალქვეშელები სირბილშივე იცვამდნენ ტანისამოსს, იტაცებდნენ იარაღს, საბრძოლო ხელსაწყოებს და მიექანებოდნენ თავიანთ საბრძოლო პოსტებზე. — თანაც აქ ზღვას ცოტა სიღმრე აქვს, საით გავიქცეთ? მაგრამ არაფერია, ჩვენ მთის არწივები ვართ, ხომ მართალია?

— ფსკერის არწივები! — გაიღიმა თარხნიშვილმა. — განა პირველადა ვართ საფრთხეში! მერე კიდევ, ჩვენ ხომ ძმადნაფიცები ვართ! ჯერ ტრანსპორტი ჩავძიროთ და შემდეგ ვნახოთ. როგორმე დავიმალებით... ან თავს მაინც ვისახელებთ.

ყველა პოსტიდან მოდიოდა მოხსენება საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. „მინოგა“ სრული სვლით მიდიოდა მტრის შესახვედრად. მაგრამ მტერი ჯერ არ ჩანდა. ნუთუ ცუდი ხილვადობა იერიშს ჩაშლის? წყალქვეშელთა მოუსვენრობა მატულობდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ჰორიზონტის აღმოსავლეთი ნაწილი ღრუბლის ქულით იყო დაფარული, აღმოსავლეთით მყოფი უფრო იოლად შენიშნავდა მოწინააღმდეგეს, ვიდრე პირიქით, ამიტომ იყო მოსალოდნელი, რომ „მინოგას“ უფრო ადრე აღმოაჩენდნენ, ვიდრე მისი ტორპედოების იერიშს იგემებდნენ... მაგრამ, მოულოდნელად, ისევ პროჟექტორი დაეხმარათ. მის შუქზე გიორგიმ უფრო მკაფიოდ დაინახა მტრის გემების თანმიმდევრობა და მთელი ბადრაგი თვალწინ გადაეშალა. გაუკვირდა და ესიამოვნა, რომ მისი თავდაპირველი გამოანგარიშება ზუსტი გამოდგა — „მინოგას“ ახლანდელი კურსი სრულიად უზრუნველყოფდა ზუსტად იერიშის წერტილში მისვლას.

— სერაფიმ ისიდოროვიჩ, — გაისმა თარხნიშვილის ხმა. — გაიარეთ ნაკვეთურებში, დაელაპარაკეთ ხალხს. ხომ იცით, რა ძალა აქვს ბრძოლაში სულის სიმხნევეს.

კომისარი მაშინვე ჩავიდა ძირს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მალე წყალქვეშელებმა უპროჟექტოროდაც შენიშნეს მტრის ტრანსპორტი. „მინოგამ“ გადალახა დაცვის რგოლი და ბადრაგის შიგ შუაგულში აღმოჩნდა. წუთიც, წამიც და, საქმე გაკეთებული იქნება... მაგრამ მეწინავე საესკადრო ნაღმოსანმა შენიშნა საბჭოთა წყალქვეშა ნავი და დაუყოვნებლივ გახსნა საარტილერიო ცეცხლი. დაიწყო განგაში. ყველა ხომალდმა ერთდროულად დაუშინა ცეცხლი „მინოგას“, და მერე რა ცეცხლი!

ჭურვები ორ ნაბიჯზე სკდებოდა, ზღვა დუღდა პატარა ნავის გარშემო. პროჟექტორების დამაბრმავებელი შუქი და ყუმბარებისაგან ატყორცნილი წყლის სვეტები უშლიდნენ მიზნის შემჩნევას. ტრანსპორტებმა იგრძნეს საფრთხის მოახლოება და მობრუნება დაიწყეს, რომ თავი გაერიდებინათ ტორპედოებისათვის. მაგრამ უკვე გვიან იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მარცხენა! ა-პა-რა-ტუ-ბო, ცეცხლი! — გაისმა გიორგი თარხნიშვილის მჭექარე ხმა. — პირველი ბათქი! ა-პა-რა-ტე-ბო, ცეცხლი!

აპარატებიდან კრაზანებივით გამოფრენილი ტორპედოები მისრიალებდნენ მიზნისაკენ, პირველი ორი მეთაურ ხომალდს დაუმიზნეს, დანარჩენები მომდევნოს.

მძიმე პირობებში უხდებოდა ნავს ჩაყვინთვა, მაგრამ ოთხი თანმიმდევრული აფეთქების ხმამ აუწერელი სიხარული მოუტანა წყალქვეშელებს. ეს ხმა იუწყებოდა, რომ ზღვის ფსკერზე გაიგზავნა ათასობით მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი..

არც „მინოგას“ დაადგა კარგი დღე. მტრის ჭურვისაგან დაიღუპა ბოგირზე მესიგნალე ვალოდია სიპელნიკოვი, რამდენიმე კაცი დაიჭრა. კიჩოს მხარეს კედელი შეინგრა. ნავს მდევრებისგან თავის დაღწევა უხდებოდა იმ რაიონში, სადაც ზღვა ერთიანად დანაღმულ-გადაღობილი იყო. წყალზედა გემებს აქ თავისუფლად შეეძლოთ ცურვა, ნაღმები მხოლოდ სიღრმეში დარაჯობდნენ მსხვერპლს და „მინოგა“ შეიძლებოდა ყოველ წუთს აფეთქებულიყო ჯოჯოხეთურ ხაფანგში, სადაც ათასობით მდუმარე სიკვდილი ელოდა მსხვერპლს.

პირველად „მინოგა“ ოსტატურად უსლტებოდა ყველა საფრთხეს, მარჯვე მანევრებით თავს აღწევდა ფაშისტ მდევ-

რებს. სიღრმის ბომბები შორიახლო ეცემოდა და ბევრს ვერაფერს აკლებდა ნავს, მაგრამ აკუმულატორთა ბატარეიების სიმკვრივე ყოვლად უმნიშვნელო იყო და მანევრირების შესაძლებლობა სულ უფრო იზღუდებოდა.

თარხნიშვილი ცენტრალურ პოსტზე იდგა, მანევრირების რუკას დასცქეროდა გარინდებული, დროგამოშვებით სახიდან ოფლს იწმენდდა, უამრავ მოხსენებაზე მაშინალურად იძლეოდა პასუხს, ბრძანებებს გადასცემდა, ცნობებს ითხოვდა ნაკვეთურებიდან.

— მარჯვნივ ას ორმოცზე საესკადრო ნაღმოსანია! პელენგი არ იცვლება!

ჰიდროაკუსტიკოსის შეშფოთებულმა ხმამ უფროსიც შეაშფოთა: პელენგი თუ არ იცვლება, ეს ცუდი ნიშანია — ესე იგი პირდაპირ ნავზე მოდის. სიღრმის ბომბების მთელი სერია „მინოგას“ ქიმთან აფეთქდა. ელექტრომოტორები, თითქოს ვიღაცამ გამორთოო, ერთბაშად გაჩერდა. მართვის სადგური მწყობრიდან გამოვიდა. დამძიმებული ნავი ქვასავით დაეშვა ქვევით. რამდენიმე წუთის შემდეგ, მარჯვენა გვერდზე გადახრილი, ფსკერზე დაწვა. დახრილობა ორმოც გრადუსს აღწევდა. ნავში ბნელოდა. საავარიო შუქიც კი ჩამქრალიყო.

— შეკეთდეს ელექტრომოტორების მართვის პულტი! — მშვიდად ბრძანა თარხნიშვილმა, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო, — ელექტროენერგიის მარაგი ჯერ კიდევ გვეყოფა, რომ მტრის დევნას თავი დავაღწიოთ.

წყალქვეშელები დაზიანებულ მექანიზმებს მისცივდნენ. არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში, სიბნელეში, ყუმბარების ჯოჯოხეთური აფეთქებების გუგუნ-გრიალში, როცა ნავი ნაფოტივით ირყეოდა და ყველაფერი ძაგძაგებდა, შედარებით საოცრად სწრაფად აღადგინეს ელექტრომოტორთა საპულტო მართვა. მალე „მინოგა“ ისევ შემსუბუქდა, ფსკერიდან აიწია და, მტრის გაშმაგებული დევნისაგან თავის დასაღწევად, წინ გასრიალდა.

— დიზელის ნაკვეთურში ნახვრეტი გაჩნდა! ნავში წყალი შემოდის! — მოახსენეს კიჩოს ნაწილიდან, მორიგი აფეთქების შემდეგ.

— ნაღმის ჭრილი მარჯვნიდან! — ერთდროულად გაისმა რამდენიმე ხმა ცხვირის მხრიდან.

ნაღმის საბელი ნავის მარჯვენა ქიმს ზედ კიჩოს ნაკვეთურამდე ჩაჰყვა და, როცა წყალქვეშელებმა ცოტა შვებით ამოისუნთქეს, სწორედ მაშინ გაისმა აფეთქების ხმა.

გეგონებოდათ, გარშემო ყველაფერი ნამუსრევად იქცაო, ნავის ადგილას რაღაც უფორმო მასა დაზვინდა. წყვდიად ღამეში ისმოდა მხოლოდ კანტიკუნტი წამოძახილები, მექანიზმების ჭრიალი და წყლის შხუილი, ჩაბნელებულ ნაკვეთურებში საბედისწერო შადრევნებად რომ მოჩუხჩუხებდა გარედან. გიორგიმ ხელიხ ფარანი აანთო. ციფერბლატზე სიღრმისმზომი 22 მეტრს უჩვენებდა. — „მინოგას“ დასახიჩრებული კორპუსი ლეოპარდებთან ბრძოლაში დაჭრილი ვეფხვივით ეგდო ფინეთის უბის შლამიან ფსკერზე.

ცენტრალურ ნაკვეთურში კომისარი შემოიჭრა, სამოსი შემოგლეჯოდა, ერთიანად ტალახსა და სოლარის ზეთში იყო ამოსვრილი.

— მდგომარეობა მძიმეა, უფროსო, — თქვა სულშეგუბებულმა, — არავითარი საშუალება არა გვაქვს ვიბრძოლოთ გადარჩენისათვის.

— გაიყვანეთ ხალხი საავარიო ნაკვეთურებიდან! მოახდინეთ ნაკვეთურების იზოლაცია! — შეაწყვეტინა თარხნიშვილმა კრუგლოვს. — გამოაცხადეთ საარტილერიო განგაში!

— მართალია, ამხანაგო. უფროსო, — მოწონების ნიშნად შესძახა კომისარმა. — სხვა გზა არ არის... შევებათ... თუ აცურვის სისტემა მთელია და თუ აცურვა შევძელით...

საარტილერიო განგაშის კვალდაკვალ გაისმა ბრძანება:

— დაუყოვნებლივ ააცურეთ! ბალასტი შეამცირეთ!

„მინოგა“ სწრაფად ამოცურდა ზედაპირზე — დიდი დახრილობით კიჩოს მხარეს. თითქმის მთელი ცხვირი ზედაპირზე იყო ამოშვერილი, ხოლო კიჩო სრულიად არ ჩანდა. მაშინვე შეატყობდით, რომ ნავი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი.

ფაშისტებმა ალბათ იფიქრეს, რომ უსაშველოდ დაზიანებულმა ნავმა გადაწყვიტა დანებებულიყო, და ერთხანს საარტილერიო ცეცხლი არ გაუხსნიათ. მაგრამ სახტად დარჩნენ, როცა „მინოგამ“ უეცრად სროლა ატეხა თავისი ორი პატარა ქვემეხიდან და მაშინვე ცეცხლი გაუჩინა მეწინავე კატერს. მომდევნო ყუმბარამ ცეცხლის ალში გახვია კიდევ ერთი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერი. „მინოგას“ ცეცხლი ახლა მორიგ კატერს მისწვდა, მაგრამ, იმავ დროს, დაზიანებულ ნავს ერთბაშად დაატყდა ათობით ჭურვი. კენტად მებრძოლ საბჭოთა გემის ბანზე, ბოგირზე და დანაშენზე მდგარ მებრძოლებს სეტყვასავით დააყარეს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან. მალე ფაშისტების კიდევ ერთი კატერი ჩაიძირა: ჩანს, ჭურვი პირდაპირ მოხვდა იმ ადგილს, სადაც სიღრმის ბომბები ინახებოდა. მაგრამ მტერი სულ უფრო საგრძნობ ზიანს აყენებდა „მინოგას“. მის ბოგირზე რამდენიმეღა დარჩა ცოცხალი ადამიანი, და ისიც — სულ მძიმედ დაჭრილები. ცხვირის მხარემ თანდათან შეანელა სროლა, ან ვის უნდა ესროლნა, როცა იქ ცოცხალი აღარავინ იყო!

— მოამზადეთ გემი მოსასპობად, ჩაუშვით კანჯოები მარჯვენა ქიმიდან! — უკანასკნელ განკარგულებებს იძლეოდა სასიკვდილოდ დაჭრილი გიორგი თარხნიშვილი. — ხალხი ნაპირზე გაიყვანეთ! ეცადეთ მონახოთ ესტონელი პარტიზანები! მედესანტეებს სათავეში ჩაუდგება ზემდგები პოპოვი. ივანე პოპოვი... გემის უფროსად ვნიშნავ კრუგლოვს!.. პოპოვი — ნაპირზე!... საბუთები გადაეცით პოპოვს...

„მინოგას“ მარჯვენა ქიმს ორი ნამცეცა კანჯო მოშორდა. ნავის ჩრდილში შეუმჩნევლად ჩაიმალნენ და თავი ბნელს შეაფარეს.

კიჩოს ერთადერთი ქვემეხი ერთხანს კიდევ განაგრძობდა კანტიკუნტად სროლას და მერე ისიც მიყუჩდა.

მიმავალი წყალქვეშელები ხედავდნენ, როგორ იკუმშებოდა მტრის გემების რგოლი საბჭოთა წყალქვეშა ნავის გარშემო, რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ რომ ჩერდებოდა ზედაპირზე. „მინოგას“ კატერებისა და საესკადრო ნაღმოსანთა პროჟექტორების შუქის სვეტები სერავდა, როგორც ცეცხლოვან ურჩხულთა ენები. ზედა ბანსა და ბოგირზე აღარავინ ჩანდა.

— ნუთუ ჩვენს „მინოგას“ ტყვედ ჩაიგდებენ ქვეწარმავლები! — შესძახა ბრაზმორეულმა მატროსმა სლასტნიკოვმა და ზეზე წამოვარდა.

— დაჯექი! — მკაცრად შეაწყვეტინა პოპოვმა. — შეიკავე თავი! კინაღამ კანჯო გადააბრუნე, შეშლილო!

— როგორ შევიკავო თავი, როცა...

— ნავზე დარჩნენ უფროსი და კომისარი, როგორმე უჩვენოდ მოუვლიან, — განაგრძობდა პოპოვი და ნიჩბებს უსვამდა. — ჩვენ ნაბრძანები გვაქვს საბუთების გადარჩენა და არა ყბედობა.

— უფროსი ალბათ უკვე... ხოლო კომისარიც ხომ შეეძლოთ მოეკლათ იმ წყეულ უწმინდურებს!

— ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენი მამა დაღუპულიყო, —რაღაც დაბეჟილი ხმით განაგრძობდა პოპოვი. ეტყობოდა, თავისი ნათქვამი თვითონვე არ სჯეროდა, მაგრამ არც იმაზე შეეძლო ფიქრი, რომ ყველასათვის საყვარელი „მამა“ ცოცხალთა შორის აღარ იყო.

კომკავშირის ორგანიზაციის უცვლელ მდივანს, ტანმორჩილსა და მკვრივი აღნაგობის ჭაბუკს ვანია პოპოვს გიორგი ადრეც მუდამ განსაკუთრებულად აფასებდა და ენდობოდა. ერთმანეთს ბევრი რამითა ჰგავდნენ. პოპოვიც გიორგისავით კერპი იყო, ძილი არ იცოდა და სიმშვიდე. ხან ნაკვეთურებში ესაუბრებოდა კომკავშირელებს, ხან ვინმეს გაზეთებსა და ჟურნალებს უკითხავდა, ხან საბრძოლო ფურცლების გამოშვებაში ეხმარებოდა იმას, ვისაც ეს ევალებოდა, ხანაც ვინმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალადა ბალტიის ტალღებზე

კახაბანგ სიდამონიძე.

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე.

წერილებს უწერდა ნათესავებთან და შინაურებთან. უფროსთა ყველა დავალებას საოცარი გულმოდგინებით ასრულებდა. ამიტომ ყველაზე უფრო საპატიო საქმეს სწორედ მას ავალებდნენ. გიორგი ხომ თავის ორეულად თვლიდა და მაშინაც მეგობრობდა მასთან, როცა ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში არ იყვნენ.

მაშინ ქარხანაში მუშაობდნენ, ერთი — თბილისში, მეორე — ტულაში. პოპოვი ტულიდან გაგზავნა კომკავშირმა ფრონტზე, თარხნიშვილიც კომკავშირული გაწვევით შევიდა ფრუნზეს სახელობის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში. შრომამ და ბრძოლამ დააკავშირა ორი შეუპოვარი ჭაბუკი.

მაგრამ სადა გვაქვს წარსულზე ფიქრის დრო!.. კატერები ფრთხილად, მაგრამ შეუპოვრად უახლოვდებოდნენ „მინოგას". ნავის კიჩო სულ უფრო და უფრო ღრმად ჩადიოდა ძირს, თითქოს ბრძოლით დაღლილა და ეყვინთებაო. მაგრამ ფაშისტებს არ სურდათ ნავის ხელიდან გაშვება. ალაფი მაინც უნდოდათ ჩაეგდოთ ხელში. საბუთები უნდოდათ, იარაღიც და, ნავის უძლურებაში დარწმუნებულნი, ერთიმეორის მიყოლებით უახლოვდებოდნენ მას.

კანჯოები უკვე შორს იყვნენ. წყალქვეშელები ძლივსღა ხედავდნენ მტრის გემების მრუმე სილუეტებს. ანაზდად გაისმა გამაყრუებელი გრგვინვა. ზღვაზე უზარმაზარი ჩირაღდანი აბრიალდა. ასობით მეტრის სიმაღლეზე ავარდა ალი იქ, სადაც დალეწილი „მინოგას" გარშემო მტრის გემები შექუჩებულიყვნენ — ოთხი მონადირე კატერი და საესკადრო ნაღმოსანი. გავარვარებული ლითონის ნატეხები ჯოჯოხეთურ წვიმასავით მოდიოდა და შიშინით ეცემოდა წყალში.

— ეს მამილოა... ქვეწარმავლებს გაუმასპინძლდა, წყეულებს! — პოპოვმა წამოიწია, ძლივს შეიკავა თავი მოტორტმანე კანჯოზე და უწინაფრო ქუდი მოიხადა. გაიხსენა თარხნიშვილის უკანასკნელი დარიგება: „გადაეცით სარდლობას, რომ ჩვენ ძვირად ვყიდით სიცოცხლეს... ყველაფერი გავაკეთეთ, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა". მართლაც ყველაფერი გააკეთეს!

ჰოდა, ამას რა ახსნა უნდოდა? — ნავზე დარჩენილმა წყალქვეშელებმა ააფეთქეს თავიანთი გემი და, „მინოგა", ფაშისტების ორ მონადირე კატერთან ერთად, სამუდამოდ ჩაიძირა ჭაღარა ბალტიის ცივ წყალთა წიაღში.

— ამხანაგებო! — თქვა ბოლოს პოპოვმა, — ჩვენმა „მინოგამ" ბოლომდე პირნათლად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. მტრის ხუთი საბრძოლო გემი და ორი ტრანსპორტი გაანადგურა. ახლა ჩვენი შვიდეული, გადარჩენილი ნაწილი ეკიპაჟისა, მოვალეა გაამართლოს იმათი ნდობა, ვინც თვითონ დაიწვა და ჩვენ სიცოცხლის შესახვედრად გამოგვგზავნა, — პოპოვმა შეისვენა, რათა ყელში მობჯენილი ბურთი გადაეყლაპა. — ჩქარა გადავიდეთ ნაპირზე, ვიპოვნოთ და შევუერთდეთ ესტონელ პარტიზანებს, შემდეგ კი მათი დახმარებით ჩვენს ნაწილს დავუბრუნდეთ... დროს ნულარ ვკარგავთ, სადაცაა გათენდება...

ორი ციცქნა კანჯო ღამის ბურუსში ტალღებს შორის გასრიალდა და თან გაიტაცა შვიდი მამაცი, რათა ფინეთის უბის სამხრეთ სანაპიროს უახლოეს შვერილთან გადაესერა წყალი და გადაერჩინა ამიერიდან ლეგენდად ქცეული გმირობა გიორგი თარხნიშვილისა.

განთიადი იყო და ჭაღარა ბალტიის ტალღებში იბადებოდა კიდევ ერთი უჭკნობი ლეგენდა.

ხევსურ გოგონას დედ-მამამ სახელად თორელა დაარქვა. პატარა გოგონას გმირული სული აღმოაჩნდა. ქალიშვილობაში რომ შეგიდა, იარაღი აისხა. ცუდი დრო იყო. ხევსურეთსაც მტერი ხშირად ესეოდა ხოლმე.

ერთხელ თორელამ შორიდან სამი ლეკი შენიშნა, მათ პატარა გოგონა მოეტაცნათ. ახლომახლო არავინ ჩანდა. თოფითა და ხმლით შეიარაღებული თორელა გამოეკიდა ლეკებს, ბავშვი დააგდებინა და კუდით ქვა ასროლინა.

თორელას საქმრო ლეკებმა ვერაგულად მოკლეს. დიდად იმწუხარა თორელამ. მთელი თვე ღამითაც არ შორდებოდა მის სამარეს. მალე, ერთ მწუხარებას მეორე დიდი მწუხარება მიემატა და ამან კიდევ მეტი მრისხანებით აღავსო ქალი. ერთ ღამეს, როდესაც თორელა თავის საქმროს საფლავზე დამხობილი ტიროდა, შორიახლო ბუჩქნარში რაღაც ხმაურობას მოჰკრა ყური, უეცრად გამოფხიზლდა. მალე ადამიანის ჩურჩულიც მოესმა, მაშინვე თოფი ჩახმახზე შეაყენა და მიაყურადა. თორელას ეგონა ლეკები დამესხნენო და გადაწყვიტა დაესწრო, მტერს მოვიგერიებო, თოფი ისროლა, ტყვია ვიღაცას მოხვდა და კვნესა ალმოხდა. თურმე ბუჩქებში მისი ძმა გიორგი დამალულიყო თავისი ამხანაგით და დას დარაჯობდა. თორელას ტყვია სწორედ ძმას მოხვედროდა. თორელა მივარდა, მკერდს დაეკონა, მაგრამ ამაო იყო ყოველი, გიორგი სახლში მკვდარი მიიტანეს. უზომო იყო ოჯახის მწუხარება. თორელამ ძმის ცხედარი თავის საქმროს ახლოს დააკრძალვინა.

თორელა ახლა უფრო მძიმე მწუხა-

რებაში ჩავარდა. თემის ყრილობამ ქალი გაასამართლა. მართალია, გამართლა, მაგრამ გააფრთხილა კი, აღარ მოსვლოდა ასეთი მარცხი სიფიცხის გამო.

მალე თორელა ოჯახიდან სულ წავიდა და სადღაც გადაიკარგა. გავიდა ხუთი წელიწადი და თორელა თავის სოფლის არე-მარეზე აღარ გამოჩენილა. თემმა და მშობლებმა დიდად იმწუხარეს და გამოიტირეს.

გავიდა ხანი. მდინარე არღუნის პირას ადამიანის ჩონჩხი და მძივები იპოვნეს, ამით კი ხალხმა საბოლოოდ დაასკვნა, თორელა ნამდვილად დაღუპულაო. მოკრიფეს ძვლები, მძივები და ძმისა და საქმროს შორის დაკრძალეს.

1845 წლის გაზაფხული იყო. რუსი და ქართველი მხედრობა შამილს ებრძოდა. თორელას მამა დავითი ფშავ-ხევსურთა რაზმის მეთაური იყო, რომელიც რუსთა რაზმების მხარდამხარ იბრძოდა. ამ დროს იჩქერიის ტყეში გააფთრებული ბრძოლები იყო. რუსის ჯარს გენერალი შვარცი მეთაურობდა, რომელმაც თავისი ნაწილები კახეთიდან შემოიყვანა დაღესტანში. ქართველთა რაზმებიც ჩაეშვნენ როგნორის ხეობაში. ლეკები შეეცადნენ მტერი მთებსა და ტყეებში შეეტყუებინათ. როგნორის ხევიდან გადასალახავი იყო კეხის მთა. აქ ლეკებმა და ჩეჩნებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს, მაღლიდან ქვასა და ღორღს აყრიდნენ, ტყვიით ცხრილავდნენ, შემდეგ კი ხმლითა და ხანჯლით დაერივნენ; დიდი ზიანიც მიაყენეს. მალე ლეკნი აირივნენ და მტერს ზურგი უჩვენეს. კეხის მთაზე თუშ-ფშავ-ხევსურთა დროშა აფრიალდა. მათ თავიდან დაუარეს მტერს და ზურგში მოექცნენ. მტერი შედრკა და გაიქცა. დროშაზე ასე ეწერა: „ნუ დაგვიხვდები, წინ, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია". ეს დროშა დავით-ხევსურს — თორელას მამას ეჭირა.

საღამოხანს რუს-ქართველთა ჯარი დაბანაკდა. გენერლის წინ მოიყვანეს ხელებშეკრული ახალგაზრდა ლეკი, სახელად აბდულ-მაჰამა. იგი, როგორც მზვერავი და მებრძოლი, მთელი ათი წლის მანძილზე რუს-ქართველთა ჯარს ემსახურებოდა. ზეპირად იცოდა ყველა გზა და ბილიკი. ლეკებშიც ბევრი მეგობარი ჰყავდა, ისინიც ენდობოდნენ. გენერალი შვარცი მას ერთგულებისათვის აფასებდა. მისი თაოსნობითა და რჩევით მტერი ბევრჯერ დაუმარცხებიათ. ახლა კი აბდულ-მაჰამა ტყვე იყო და დარაჯობდნენ, გენერალი მას ღალატს სწამ[illegible] და.

— შენგან ღალატს არ მოველოდი, აბდულა, — უთხრა შვარცმა. — ორგული ყოფილხარ.

— მე არასოდეს მოღალატე არა ვყოფილვარ, არასდროს ფიქრადაც არ მომსვლია შენი მოტყუება, გენერალო. შეგფიცე და ეგ არის, სისხლი უნდა ვანთხიო ჩემი პირადი მტრების, ლეკებისა.

— დღევანდელმა საქმემ კი სულ სხვა გვიჩვენა, — თქვა შვარცმა.

— რამდენი წელიწადი ერთგულად გემსახურე და დღეს გიღალატე? — აღმოხდა აბდულას.

— წარსული სამსახურისთვის ჯილდოც მიიღე. შენ გაქვს ჯვარ-მედალი, დღეს კი თოკს იმსახურებ და მიიღებ კიდეც. — ამცნო შვარცმა.

— შენი ნებაა, მაგრამ მე სასჯელი არ დამიმსახურებია, დეე, უდანაშაულო კაცის სიცოცხლე შენმა სულმა ზღოს, სინდისიც არ გაგამართლებს, — მტკიცედ შეხედა გენერალს აბდულამ.

— მაშ რატომ არ შემატყობინე, რომ კეხის მთის წვერზე ლეკებს ქვა და ხერგი ჰქონდათ დამზადებული, რად დამალე, თუ ღალატი გულში არა გქონდა? — ჰკითხა შვარცმა.

— საფრებისა და მტრის რაოდენობის შესახებ გითხარი, ქვა და ხერგი კი გუშინ შუადღისას არ იყო ადგილზე, — სცადა თავის გამართლება აბდულამ.

— მაშ საიდან იშოვნეს? — არ ეშვებოდა შვარცი.

— მთის იქითა მხარეს ტყეა. ლეკებს შეეძლოთ მალე დაემზადებინათ, — აუხსნა აბდულამ.

— რად წამოგვიყვანე ამ გზით, განა სხვა გზა უმჯობესი არ იყო? — ჰკითხა გენერალმა.

— იყო სხვა გზაც, მაგრამ შენ არ მითხარი, მოკლე გზა მესწავლებინა? მოკლეც ეს იყო, — თავს იცავდა აბდულა.

— სტყუი, ძაღლო! — აღელდა შვარცი. — გინდა თვალი ამიხვიო? შენ თუ არ დაგსაჯე, სხვაც მომატყუებს და მიღალატებს.

— რა ვქნა, თუ კი არა გჯერა, მაშინ ასეთი ყოფილა ჩემი უკულმართი ბედი. — დაღონდა აბდულა.

— შენ დღევანდელი საქციელით სიკვდილი დაიმსახურე, — დაასკვნა გენერალმა.

— იცოდე, გენერალო, ჩემი სიკვდილით შენ ჰკარგავ ერთგულ კაცს. საკვირველი არ არის და არც ძნელი, თუ შენისთანა დიდი კაცი ჩემისთანა პატარა კაცს მოაკვლევინებს, მაგრამ ღმერთი და სინდისი ყველა უფლებაზე მაღლა დგას. — თქვა აბდულამ და გენერალს თვალი თვალში გაუყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წაიყვანეთ, ახლავე ჩამოახრჩონ! — ბრძანა გენერალმა.

აბდულ-მაჰამა წაიყვანეს და თუშფშავ-ხევსურთა ბანაკში მიიყვანეს. აქ ცეცხლი გაეჩაღებინათ და გარს შემოსხდომოდნენ. ისინი დღევანდელ ბრძოლაზე ლაპარაკობდნენ. მათაც ბევრი მებრძოლი დაკარგეს. დავითის დროშამ კი მაინც თავისი გაიტანა: გაიმარჯვეს.

— ვიღაცამ გვიღალატა. მგონი გზის მაჩვენებელი უნდა იყოს მოღალატე. მაშ რად გვასწავლა ეს გზა? — თქვა ერთმა.

— მადლობა ღმერთს, დავით-მედროშემ მოიფიქრა და გზაზე გადავუსვიეთ, თორემ ჩვენც მოვსვდებოდით ქვის სეტყვაში.

— კარგი იქნებოდა გენერალს ერთი მათგანი ჩამოეხრჩო, სხვებიც ჭკუას ისწავლიდნენ! — დაემოწმა დავით-მედროშე.

— სად არის თქვენი წინამძღოლი? — იკითხა ამ დროს მოსულმა უნტეროფიცერმა.

— მე ვარ წინამძღოლი, — უპასუხა დავითმა.

— მიიღეთ ტუსაღი, მან დიდ განსაცდელში ჩაგვაგდო დღეს. გენერალმა ბრძანა, ახლავე ჩამოახრჩეთო. — თქვა მან.

დავითმა ახედ-დახედა ტყვეს და თავისიანებს უბრძანა, მიეღოთ. — მოახსენეთ გენერალს, რომ აღსრულდება მისი ბრძანება, თუმცა როგორ უნდა ჩამოვახრჩოთ, აქ ხე კი არა, ჯაგიც არსად არ არის. ხევში ხომ არ ჩავიყვანოთ? იქნება ტყვიით დახვრეტა სჯობდეს, — უთხრა დავითმა.

— არა, გენერალმა ბრძანა ჩამოახრჩეთო. — გაუმეორა უნტეროფიცერმა.

— ბრძანებაა, — თქვა დავითმა. — გადით ნაპირებზე, იქნებ ახლო-მახლო მონახოთ რაიმე ხე.

ტყვე ცეცხლთან იჯდა და სიკვდილს ელოდა. გული უძგერდა, ცრემლად იღვრებოდა.

— რათა, რისთვის, ნუთუ ჩემი ერთგულება სიკვდილის ღირსია?! ოჰ, უკუღმართო ბედო ჩემო და უმადურო შვარცო!

— რას იცრემლები დიაცივით! — დასცინა დავით-მედროშემ, — ცრემლი რას გიშველის!

— ჩემი ცრემლი სიმხდალისა არ გეგონოს. სიკვდილისა არ მეშინია, ცრემლი თქვენმა უსამართლობამ მომგვარა. — უთხრა აბდულამ. — დავით! — წამოიძახა ამაყად, — შენ მოვალე ხარ სისრულეში მოიყვანო უფროსის ბრძანება და ჩემი თავი ჩამოახრჩობინო, მაგრამ კაცის შეურაცხყოფა კი არ არის პატიოსნება. მე შენგან შებრალებას მოველოდი.

— კარგი, ვთქვათ, შეგიბრალე, რა გამოვა აქედან? — თქვა დავითმა.

— ძალიან ბევრი. ჯერ ერთი, გამიადვილებ წვალებას. გამიხსენი ხელები, ძალიან დამილურჯდა და თოკიც ხორცში ჩამეჭირა. — შეეხვეწა აბდულა.

— არა უშავს რა, მოითმენ, — მიაგება დავითმა.

— თუ ღმერთი გწამს, გამიხსენი, არ ინანებ. რაღაც უნდა გაჩვენო, ყურში ერთ-ორ სიტყვას გეტყვი, იქ-

ნებ ცოტა მოლბეს შენი სასტიკი გული! — შეეხვეწა კვლავ ანდუა.

— ხელები გაგიხსნა მოღალატემ, გაგაათავისუფლო, რომ შემდეგ გაბეზეცე, ნისლში გადაეხვიონ?! იგ ვერცხი არ გაგიგია, მოხუცი კი ვარ, ბაგრამ ვერ მომატყუებ. — უთხრა დაჯთმა.

— რაო, ბამაც დაგითის, განთქმულს მოიელ ხეფსერფაში — ეფნინა უბრალო ტყვისა, უნიშარს და ომებში გამოჭრილიოლის გეფნინა უმეფური, უსანლაარო ტყვე გაგეცესა? არა, შენ დაჯთი არა ხარ. მეგაცდი. შენ მხდალი და შეუბრალებელი ჯალათი ყოფილხარ. მცხვენია, რომ შეგეფერეფ. — თქვა ამაყად ანდუამ.

ანდუას სიტყვებმა დიდად იმოქმედა დაჯთზე.

„რა მაგარი ფილი აქვს ამ ჭაბუს! დაკეიგა და შეურაცხყოფა ტყვისა მართლაც დიდი ცოდვა და უპატიოსნობაა. რაც შემიძლია უნდა ვეშველო", — გაიფიქრა თავისთვის ბაშ.

— ხელები უნდა გაგიხსნა, გაჩვენებ, რომ არც ისეთი შეუბრალებელი ვარ, როგორიც გგონიეარ. — უთხრა დაჯთმა. ტყვე შეშოპარუნა და ხანჯლით თოკის კვანძი გადაჭრა.

— აბა, ხელები გაგიხსენი, ახლა?

— დამაცა, დაჯთ!

თეშ-ფშავ-ხევსურები ანდუასა თვალს არ აშორებდნენ და ამოლებული ხანჯლებით მოშორებით იდგნენ.

— ვალდებული ვარ, დაჯთ, სიკეთისათვის. ჩემს მაგიერ ღმერთი გადაგიხდის. ახლა კი შემიძლია საყელო გაგიხსნა? — უთხრა ანდუამ დაჯთის.

— სისხლი ხომ არ აგიკვარდა თავში? წყალი ხომ არ გინდა? — შეეკითხენ ანდუას.

— არა, — თქვა ანდუამ, — უბიდან რაღაც ამოიღო, დაჯთის აჩვენა. დაჯთი თავზარდაცემული უკან გადგა. ზერე მიეარდა ანდუას ხანმ ბაშ უყურებდა, ხან მძიგე.

— ღმერთო ჩემო, სიზმარია თუ ჭეკეა ამერია?! — ფაზოიანმა დაჯთიმ მიეარდა ანდუას და გუფში ჩაიარა.

ანდუეა ბავშვივით ქვითინებდა.

გატყდა მოხუცი გმირი. მის გულში ან ამ დროს ორი გრძნობა ფიფდა: განაბლებული სიხარული და ღრმა სევდა.

იცოდა დაჯთმა, რომ იგი ტყვეის გადაჩრენას ვერ შეკიძლებდა, თუმცა მის წინაშე იდგა არა დამნაშაეე, არამედ მსხვერპლი გაუგებრობისა, ბაგრამ ოროარ და რანაირად ეშველა საკმისათვის? რა დამამტკიცებელი სიტეეი წარიდგინა ანდუეას გასაბრთელლად? დრო კი აღარ ითმენდა.

— ხელი არ ახლოთ ტყვეს ჩემს დაბრუნებამდე! — უთხრა დაჯთმა თავისიანებს და ზეარცთან წავიდა. რაზმელებმა ვერაფერი გაიგეს, რა მოხდა.

დაკანცული დაჯთი გენერალს წარუდგა და მტკიცე ხმით უთხრა:

— შეიფუნარე, გენერალო, ანაატიე, დამნაშავე არ არის, ღმერთია ამის მოწმე. ანდუეა-მაკაბა თქვენი ერთგული, მე ჩამომაბრძანეთ, თუ ანდუა თქვენი მოღალატე იყოს.

— დაწყნარდი, ნუ შფოთავ, დაკეი, — უთხრა გენერალმა, — ვიცი, რომ ანდუეა არ არის მოღალატე. ავჩქარდი. მოლა ახმედმა' მითხრა ამის შემდეგ ჩინბადლუნ უფრო ვერ წეწუნენი. დაწყნარდი, ბაბაკო მოხუცო. წადი და მოიკეეე. ანდუეას კი უთხარი, მოგიდეეს! განუშორებლად ჩემთან იქნება მთელ ლაშქრობაში და უნდა დაეკოკილდო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვავებულ ცხოველებს — ბაბუინებსა და შავხალებიან ანტილოპებს შორის?

საქმე ის არის, რომ ეს მეგობრობა მაღალი ბალახით დაფარული ვაკის პირობებში ორივე მხარეს მოსალოდნელი ხიფათისაგან იცავს. ბაბუინები, რომელთაც შესანიშნავი მხედველობა აქვთ, ხეთა კენწეროებიდან შორიდანვე ამჩნევენ მტრის მოახლოებას, ხოლო მაღალ ბალახებსა და ბუჩქებში მიმალული საშიში მხეცები არ გამოეპარებათ ანტილოპებს, რომელთაც საოცარი ყნოსვა აქვთ. ბაბუინებსა და ანტილოპებს კარგად ესმით ერთმანეთისადა, ვინც არ უნდა მისცეს განგაშის ნიშანი, ბაბუინმა თუ ანტილოპმა, ორივე მხარისათვის გასაგებია, რომელი მტერია აღმოჩენილი. და რა უნდა იღონონ მის წინააღმდეგ.

სულ მალე ამ მეგობრობას სერიოზული გამოცდისათვის უნდა გაეძლო.

ბაბუინებისა და ანტილოპების შეხვედრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ხის კენწეროზე ასულმა მზვერავმა ბაბუინმა შეამჩნია, რომ ანტილოპებს ქარის მხრიდან სამი ჯიქი ეპარებოდა. მზვერავმა ეს ამბავი მაშინვე აცნობა თავისიანებს: რაღაც „ო-ო-ო"-ს მსგავსი ღრმა და რბილი ბგერები გამოსცა.

ანტილოპები, როგორც კი თავიანთი მოსისხლე მტრის სუნს აიღებენ, თავქუდმოგლეჯილი გარბიან ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვითომც არაფერიაო, ძოვას განაგრძობდნენ და საგანგაშო სიგნალისთვის თითქოს ყურადღებაც არ მიუქცევიათ. თავიც კი არ აუწევიათ, რომ დაენახათ, ბაბუინი მებრძოლები როგორ დაეწყვნენ მჭიდროდ შეკრულ საბრძოლო რიგებად და უშიშრად გაემარჯვნენ მოახლოებული ჯიქებისაკენ, ხოლო დედა მაიმუნებმა, თავიანთი ნაშიერებითურთ, როგორ მიაშურეს ხეთა კენწეროებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაბუინთა ბევრისმნახველი წინამძღოლი კბილების ღრჭენით , მრისხანე კივილით ეძგერა ჯიქებს და გააქცია ისინი, ანტილოპებმა იგი თავიანთი ყურადღებით დააჯილდოვეს და მოწონების თვალით გადახედეს.

◆

ბაბუინთა საზოგადოება ჯგუფებად არის დაყოფილი. ჯგუფები მეტად მყარია შემადგენლობით. ჯგუფის წევრები ერთად მიდიან სალაშქროდ, ერთად ჭამენ, ერთად სძინავთ, ერთად თამაშობენ და ერთმანეთს აბეზარ მკბენარს უხილავენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯგუფის წევრები ნათესაური კავშირის გამო კი არ უდგანან ერთმანეთს მხარში, არამედ მხოლოდ პირადი სიმპათიებისა და განსაკუთრებული მეგობრული გრძნობების გამო.

ბაბუინთა თანასაზოგადოებაში გაბატონებულია სასტიკი იერარქია. თვითეულ ბაბუინს, ყველაზე ღონიერი ხვადით დაწყებული და ყველაზე პაწია მაიმუნით დამთავრებული, ზუსტად განსაზღვრული ადგილი უჭირავს ამ საზოგადოებაში და თავისი რანგის შესაბამისი უფლება-მოვალეობა აქვს. ისინი, რომელთაც უფრო მაღალი მდგომარეობა უკავიათ, კვების, დასვენების და ძილის უკეთეს პირობებზე აცხადებენ პრეტენზიას, ასაკით უმცროსებმა კი მათ უნდა დაუთმონ.

ბაბუინების წინამძღოლი გამოცდილი, ძლიერი ხვადია. იგი არასოდეს არ იყენებს ფიზიკურ ძალას იმისათვის, რომ ვინმეს მოაგონოს, მე წინამძღოლი ვარო. თავისი მდგომარეობის სადემონსტრაციოდ ქვეშევრდომებს მოწყალედ რთავს ხოლმე ნებას, დაფხანონ.

პროფესორმა უოშბერნმა შესძლო სწრაფად გაერკვია ჯოგში თვითეული ბაბუინის მდგომარეობა. ყოველთვის, როდესაც ის საჭმელს მიუგდებდა ორ ბაბუინს, უფრო მაღალი რანგის მაიმუნი საჭმელს გაბედულად სწევდა თავისაკენ, მაშინ, როცა მეორე მაიმუნს ამ გემრიელი ნაჭრის შეხედვისაც კი ეშინოდა. თუ ხელქვეითი ბაბუინი რაიმე ზედმეტს გაბედავდა, მას მაშინვე ტუქსავდნენ. ამასთან, ხმარებული ზომების სიმკაცრე დამოკიდებული იყო წესრიგის დამრღვევის თავაშვებულობის ხარისხზე. ჩვეულებრივ, საკმარისი იყო დამუქრებული ბუზღუნი. თუ ეს ვერ გასჭრიდა, რანგით უფროსი, ოთხზე დამდგარი და ბალანაშლილი, მარჯვენა თათს მიწას სცემდა, რითაც გამოხატავდა წესრიგის დამრღვევის მიტყეპვის განზრახვას. თუ უფროს ბაბუინს ამ დროს შემთხვევით ქვა ჩაუვარდა ხელში, იგი მიწაზე ქვის ცემას იწყებს, მაგრამ არასოდეს არ გამოიყენებს ამ ქვას იმისათვის, რომ ვისმეს თავში ჩაუკაკუნოს ან ესროლოს. მაშინაც კი, როდესაც ბაბუინი სიბრაზისაგან მოთმინებას კარგავს, ხელში აღებულ ქვას ის მხოლოდ შორს გადაისვრის.

ასეთი მუქარითი მოქმედება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ევოლუციური ნაბიჯი იარაღის გამოყენებისაკენ. შიმპანზეს ამ მხრივ რამდენადმე შორს წავიდა. როგორც ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორმა ადრიან კორშლანდტმა დაადგინა, გარეული შიმპანზე ძალზე მოჩხუბარია და სულ მცირე მიზეზიც საკმარისია, ხელი წამოუსვას რაც შეიძლება მოზრდილ კეტს, რომ კარგა მაგრად აუხუროს გვერდები თავის მტრებს, მათ შორის — ჯიქებსაც.

◆

ბაბუინთა ცხოვრებაში უდიდესი სენსაციაა გახლავთ შვილის დაბადება. ამ ბედნიერი მოვლენის ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდება. ყველა მაიმუნი, დიდი თუ პატარა, თავს იყრის ახალ „დედიკოსთან", რომ გამოავლინონ თავიანთი აღფრთოვანება. ისინი, ვინც „მოლოგინებულთან" ახლოს მისვლას მოახერხებენ,

ფუნარაძე ეფცერებიან ედიდს და ხელს ეშვერენ ახალგაზრდებეშვილსკენ, მაგრამ მხარეზე ხელს ეშვერენ; ახალგაზრდობეშვილს ხელისხმენა მარტო ედიდს შეუძლია.

ახალშობილ ბიბლიონს სიცოცხლის პირველი ედიდანვე უნდა შეეძლოს ედიდის მეერზე ამოსვლა ბავშვანს მგზარდ მეეზეშეუძლს, რომ ყოველივის მზად იყოს მგზავრობისათვის. ედიდ ერთგვარად ეხმარები მას ამში და ხელიერეა ედიდის შემგებრეს.

ცოტა გოგონებმა, ეროვნ ფეის ჩვენი ბიბლიონ ისწავლეს ედიდის ზუსგზე აძრომას. მათ ალბა და, ეგი ისე გაუკარედა, რომ პირველი ნაბიჯების გადადგმაც გაბედეს.

მზრუნველი ,,ედიდეკ'' პირველ ხანებში ეკმარა ამ ცოცხალ ბავშვს და ეან ადაოერევს' სახელმძღვანელ ,,ედიდ პატარა ეკეთ ბავშვ ,,ედიდ ეკეთ ,,ედიდ ,,ედიდ ,,ედიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკმუკნული, უხეში ტყავის ხელთათმანები აბუსალათინის ზეთში დასველებული სუფთა ნაჭრით გაწმინდეთ. ორიოდე საათში ხელთათმანები ელასტიკური და პრიალა გახდება. გადაფხეკილი ადგილები წინასწარ ტუშით შეღებეთ.

თუ გსურთ ტყავის ჩანთა ციცხლად გამოიყურებოდეს, თბილი, საპნიანი წყლით გარეცხეთ, ოღონდ წყალში ცოტა ნიშადურის სპირტი შეურიეთ. მერე ჩანთა აბუსალათინის ზეთში დასველებული ჩვრით გააპრიალეთ და გააშრეთ.

ტყავის ხელთათმანები თუ გიჭერთ, ორიოდე საათით ლაჟე ჩვარში შეახვიეთ, მერე ჩაიცვით და ხელზე შეიშრეთ.

თუ მაცივარი არა გაქვთ, მაინც შეგიძლიათ ხორცი ერთი-ორი დღე სალად შეინახოთ, ამისათვის იგი ძმრით გაცლენთილ ტილოს ნაჭერში გახვიეთ. კერძის მომზადების წინ ხორცი კარგა მაგრად გაავლეთ ცივ წყალში

ლიმონის წვენგადასხმულ ხორცს თუ ისეთ ადგილას შეინახავთ, სადაც ჰაერი მოძრაობს, რაც არ უნდა ცხელი ამინდი იყოს, მაინც სალად შეინახება.

ხორცი და თევზი კარგა ხანს შეინახება, თუ ჭინჭარს შემოახვევთ და ნაჭერში მერე გახვევთ. ეს განსაკუთრებით გამოსადეგია მეთევზისათვის; თუ კალათაში ჭინჭარს ჩააფენთ და ზემოდან თევზს დააწყობთ, თევზი სუნს კარგა ხანს არ გაუშვებს.

თუ გსურთ კვერცხი დიდხანს შეინახოთ, წაუსვით ფისი, შეახვიეთ ქაღალდში, ჩააწყეთ კალათში და გრილ ადგილას ჩამოკიდეთ. თუ ფისი ხელთ არა გაქვთ, მის მაგივრად იხმარეთ ცილა.

კარაქი კარგა ხანს ინახება სალად, თუ პერგამენტის ქაღალდში შეახვევთ, ძალზე მარილიან წყალში ჩადებთ და ჭურჭელს ზემოდან თავს დაახურავთ. კარაქის შენახვა ძმრითა და წყლით დასველებულ ტილოს ნაჭერშიც შეგიძლიათ.

ორგანული მინა იოლად იღუნება, იგრიხება და ადვილად იცვლის ფორმას. ოღონდ ერთი რამ უნდა იცოდეთ: მინა ჯერ უნდა გაახუროთ. ორგანული მინის გახურება შეიძლება ცხელი ჰაერით (მაგალითად, ელექტროღუმელზე) ან მდუღარე წყლით. ოღონდ გახსოვდეთ, რომ ორგანული მინა ღია ცეცხლს უფრთხის, იბუშტება და გამჭვირვალებას ჰკარგავს.

სარჩევი

გუჯარეთის ხეობაში (ფოტორეპორტაჟი) . . . გარეკ . . . 1
ბ. დიაჩენკო — საათი (მოთხრობა. თარგმანი მ. კოდუასი) . 2
მ. ლებანიძე — შემოდგომა (ლექსები) 4
დ. გრიგოლაშვილი — ბორანზე (მოთხრობა) 6
ახალი წიგნები 13
ს. მიხალკოვი — სახლი ულიანოვსკში (ლექსი. თარგმანი ა. ონელისა) 14
ნ. ჯანბერიძე — ქართული ხუროთმოძღვრება (წერილი) . . 15
ლ. ჭიჭინაძე — ილია სიხარულიძე (წერილი) 19
ი. იოსელიანი — „მინოგას" დაღუპვა (მოთხრობა) . . . 21
ვ. სიდამონიძე — ხევსური ქალი თორელა (ნამდვილი ამბავი) 25
ვ. დრეშერი — სტუმრად ბაბუინებთან (წერილი. თარგმანი ს. დოლიძისა) 29
ჯადოსნური სარკე 31
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. . 4

გარეკანის 1-ელ გვერდზე — „ოქროს შემოდგომა", მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ორი ხიდი — თბილისის ბოტანიკური ბაღი. ფოტოეტიუდი ზ. დათუაშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-97-03, 93-31-81, პ/მგ. მდივნის 93-97-08, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии.
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა საწყობად 18/VIII-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IX-69 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ოფსეტური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკ. № 2503. ტირაჟი 101 700. ფუ 00940.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი პრიზის მფლობელები

აგვისტოს თვეში, კიკეთის პიონერთა ბანაკი თავისებურ საკავშირო კლუბად იქცა. აქ მიმდინარეობდა III პიონერული თამაშების ფინალი, პიროგითი სახელწოდებით: „სასწაული — შაში 69“.

დიდი ხალისით ჩაიარეს საბანაკო დღეებმა. შაშში შეჯიბრების პარალელურად ბავშვები მეგობრულ შეხვედრებს მართავდნენ მათ მიერვე მოწყობილ სტადიონზე. ასპარეზობდნენ კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში...

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მრავალი პრიზი დარიგდა. ერთ-ერთი ჯილდო, ჩვენი ჟურნალის პრიზი— ფოტოაპარატი წილად ხვდა ქ. ბაქოს 53-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ძმებს — აიდინ და ბახტიარ ტაგიევებს.

მათ არა მარტო შაშში, არამედ სპორტულ თამაშებში და მოედნის მოწყობაშიც გამოიჩინეს თავი.



კროსვორდი

აბა, ამოხსენით!

ავიღოთ მონეტებით სავსე 10 ყუთი. ცხრა ყუთში ნამდვილი მონეტებია. თითოეული მონეტა 1 გრამს იწონის; ერთი ყუთი კი ყალბი მონეტებით არის სავსე. თითოეული მათგანი 0,5 გრამს იწონის. ერთი აწონვით გამოიცანით რომელ ყუთშია ყალბი მონეტები (სასწორი 100 გრამზე მეტს ვერ სწონის).

ვიორგი ღამბაშიძე.

პასუხები № 9-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

ვინ ვის ელაპარაკება

თინა ლალის ელაპარაკება, გია — ნელის, ქეთო — ვაჟას, გივი — ნანას, თამაზი — რეზოს.

12-დან 2

მეორე და მეათე.

ვერტიკალურად: 1. სასწავლო ნივთი; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. საოჯახო ნივთი; 4. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 10. ცხენის საკაზმი; 15. მდინარე რუსეთში; 16. ბოსტნეული; 17. ქალაქი ესტონეთში; 18. გარეული ცხოველი.

ჰორიზონტალურად: 5. სანიავებელი; 6. თავთავიანი კულტურა; 7. მშვენიერი ანუ... 8. მარცვლეული კულტურა; 9. სამშენებლო მასალა; 11. წონის ერთეული; 12. ადმინისტრაციულ შენობაზე გაკრული წარწერა; 13. ცხენის სახელი ლერმონტოვის ნაწარმოებში; 14. სახელმწიფოს ერთმმართველი; 16. ხილი; 17. აზროვნების ორგანო; 19. მატერიკი; 20. ქაღალდის გრაგნილი; 21. გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი; 22. ქალაქი რუსეთში.



რუსუდან ჯოჯუა, ბორჯომის მე-2 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.

6.117/199

ИНДЕКС 76157